

ლევან ფირყულაშვილი

შენობა-ნაგებობების გადახურვის ახალი ტიპის წინასწარ  
დაძაბული რეგულარული (სტრუქტურული) სივრცითი  
კონსტრუქციის გაანგარიშება და კონსტრუირება

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
თბილისი, 0175, საქართველო  
მარტი, 2013 წელი

საავტორო უფლება © 2013, ფირყულაშვილი ლევანი, 2013

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

## სამშენებლო ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავცანით ფირყულაშვილი ლევანის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „შენობა-ნაგებობების გადახურვის ახალი ტიპის წინასწარ დაძაბული რეგულარული (სტრუქტურული) სივრცითი კონსტრუქციის განგარიშება და კონსტრუირება“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

### თარიღი

ხელმძღვანელები: სრული პროფ. ინგუმა მშვენიერაძე

---

ასოც. პროფ. ბიჭიკო სურგულაძე

რეცენზენტები: სრული პროფ. კონსტანტინე ჩხიკვაძე

---

ასოც. პროფ. შახი ბაქანიძე

---

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2013

ავტორი: ფირყულაშვილი ლევანი

დასახელება: „შენობა-ნაგებობების გადახურვის ახალი ტიპის  
წინასწარ დამაბული რეგულარული (სტრუქტურული)  
სივრცითი კონსტრუქციის გაანგარიშება და  
კონსტრუირება“

ფაკულტეტი : სამშენებლო ფაკულტეტი

ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა: თარიღი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ  
ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის  
შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების  
უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

---

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც  
მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან  
სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი  
ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებულ საავტორო  
უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა  
იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ  
მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია  
სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს  
პასუხისმგებლობას.

ვუძღვნი მამის ხსოვნას...

## რეზიუმე

შენობა-ნაგებობების გადახურვის სივრცით-ღეროვანი სამშენებლო კონსტრუქციების, კერძოდ, რეგულარული (სტრუქტურული) სისტემების როლი მნიშვნელოვანი ნაწილია არქიტექტურული შემოქმედებისა, ამიტომ სპეციალური კვლევების სფეროში და ექსპერიმენტალურ გამოკვლევებში რეგულარულ (სტრუქტურულ) სისტემების არქიტექტურულ ფორმებს ძირითადი როლი ენიჭება, ხოლო არქიტექტურულ-სამშენებლო პრაქტიკაში ეს მიმართულება მნიშვნელოვანია დიდძალიანი ნაშენების პროექტირებისას.

ასაწყობი გარსების კონსტრუქციების ფართოდ გამოყენება სამშენებლო პრაქტიკაში დაკავშირებულია მონტაჟის მეთოდის გაუმჯობესებასთან, კონსტრუქციის დამზადების და ტრანსპორტირების გაადვილებასთან, მასალის მინიმალურ გამოყენებასთან. ამ საკითხების წარმატებით გადაწყვეტა ჯამში მოგვცემს საერთო დანახარჯების მნიშვნელოვან ეკონომიას.

რეგულარული (სტრუქტურული) სისტემების მშენებლობის თანამედროვე დონე, რომელიც წარმოადგენს საინჟინრო კონსტრუქციებისა და მექანიზმების სინთეზს, ვერ აკმაყოფილებს მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, რადგან არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი - საერთო თეორია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება საკვლევი კონსტრუქციების სისტემური ანალიზის ჩატარება მათი განგარიშებიდან კლასიფიკაციამდე. არასაკმარისადაა დამუშავებული კონსტრუქციული გადაწყვეტები მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური და საექსპლუატაციო მაჩვენებლების მხრივ; ბოლომდე არ არის განსაზღვრული მათი გამოყენების სფერო და პერსპექტივაში გამოსაყენებელი სფეროები.

ზემოთ აღწერილი მდგომარეობა ართულებს ზოგადად გარსებისა და რეგულარული (სტრუქტურული) კონსტრუქციების დაპროექტებასა

და მშენებლობას, ამიტომ მნიშვნელოვანია ისეთი მეთოდოლოგიის დამუშავება, რომელიც აღნიშნული კონსტრუქციების განხორციელების საშუალებას მოგვცემს საქართველოს სპეციფიკური პირობების (სეისმურად აქტიური რაიონი) გათვალისწინებით.

სივრცითი რეგულარული აგებულების სისტემები - თანამედროვე ეფექტური კონსტრუქციებია. მათი ფუნქციონალური, ტექნიკური და მხატვრულ-ესთეტიკური თვისებები იძლევა ფართო გამოყენების პერსპექტივის გარანტიას. აგრეთვე, მათი გამოყენება დიდმალიან შენობა-ნაგებობებში 20-30%-ით ამცირებს მასალის ხარჯს.

ნაშრომში აღწერილი არსებული რეგულარულ (სტრუქტურულ) კონსტრუქციების უარყოფით მხარეს წარმოადგენს ის, რომ სტრუქტურული ფილის პირამიდების ღეროებში ძალოვანი ფაქტორების კლება ხდება არათანაბრად, ხოლო წინასწარდაძაბვის მიზნით დიაგონალურად განლაებული ვანტების გამოყენებისას სტრუქტურული ფილის მიმაგრება ართულებს მის მონტაჟს, ასევე გართულებულია კონცენტრული მრავალკუთხედის ფორმის წინასწარდაძაბული მოქნილი ელემენტების გამოყენებისას კონსტრუქციის ელემენტებში ძალების რეგულირება, რის გამოც გართულებულია სტრუქტურული ფილის პირამიდების ღეროებში ძალოვანი ფაქტორების რეგულირება, რაც იწვევს შრომატევადობის გაზრდას, ზიდვის უნარისა და საიმედოობის შემცირებას.

წინამდებარე ნაშრომი, „შენობა-ნაგებობების გადახურვის ახალი ტიპის წინასწარ დაძაბული რეგულარული (სტრუქტურული) სივრცითი კონსტრუქციის გაანგარიშება და კონსტრუირება“, ეძღვნება ზემოაღნიშნული პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტის მცდელობას და, ამდენად, ვთვლით, რომ მასში დასმული საკითხები აქტუალურია.

**ნაშრომის მიზანს** წარმოადგენს „შენობა-ნაგებობების გადახურვის ახალი ტიპის წინასწარ დაძაბული რეგულარული (სტრუქტურული) სივრცითი კონსტრუქციის“, [დამუშავებულ ტექნიკურ გადაწყვეტილებაზე საქპატენტის მიერ გაცემულია პატენტი №P11625, სამრეწველო

საკუთრების ოფიციალური ბიულეტენი, ნომერი 4(368), 25.02.2013 წ.] გაანგარიშებისა და კონსტრუირების საკითხების დამუშავება.

ამ მიზნით განხილულია მრავალი სახის სტრუქტურული კონსტრუქციები, წარმოდგენილია მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ასევე შესწავლილია საზღვარგარეთ განხორციელებული ტიპური პროექტები და განვითარებული ქვეყნების მშენებლობის ტექნოლოგიის თანამედროვე დონე. მათი შესწავლის და ანალიზის შედეგების მიხედვით უნდა განვიხილოთ წინასწარდამაბული ახალი ტიპის რეგულარული (სტრუქტურული) კონსტრუქცია, რომელშიც უნდა გადაწყდეს და აღმოიფხვრას არსებულ კონსტრუქციების ტექნიკურ გადაწყვეტებში არსებული პრობლემები. ასევე დამუშავდეს მისთვის ახალი კონსტრუქციული გადაწყვეტები, გაანგარიშების მეთოდოლოგია, განისაზღვროს მისი პრაქტიკული ღირებულება და მოხდეს მისი ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტურობის შეფასება.

**ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს შემდეგში:** დამუშავებულია შენობა-ნაგებობების გადახურვის ახალი ტიპის წინასწარ დამაბული რეგულარული (სტრუქტურული) სივრცითი კონსტრუქცია, რომელშიც გადაწყვეტილია და აღმოიფხვრილია არსებულ კონსტრუქციების ტექნიკურ გადაწყვეტებში არსებული პრობლემები. ასევე დამუშავებულია ახალი კონსტრუქციული გადაწყვეტები და გაანგარიშების მეთოდოლოგია და განსაზღვრულია მისი პრაქტიკული ღირებულებები. ყოველივე ნათლად დასტურდება ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშების შედეგების ანალიზიდან.

**პრაქტიკული ღირებულება.** ჩატარებული თეორიული კვლევების, პრაქტიკული გამოცდილების, სამშენებლო ნორმებისა-წესების სრული დაცვის და რეკომენდაციების საფუძველზე დამუშავებული „ახალი ტიპის წინასწარდამაბული სივრცითი სტრუქტურული კონსტრუქცია“, მისი გაანგარიშების მეთოდოლოგია და ეკონომიკური ეფექტურობიდან გამომდინარე, გადახურვის ახალი ტიპის წინასწარდამაბული

რეგულარული (სტრუქტურული) სივრცითი კონსტრუქციის მშენებლობაში (პატენტი P11625) გამოყენება მიზანშეწონილია.

შემოთავაზებული კონსტრუქციის რეალიზაციისას უზრუნველყოფილი იქნება ელემენტების დამზადება და გამარტივებული მონტაჟი, შემცირდება მასალის ხარჯი და მშენებლობის ხანგრძლივობა. ამადღება კონსტრუქციის ზიდვის უნარი და ექსპლუატაციის დროს გაიზრდება მისი საიმედოობა.

**ნაშრომის აპრობაცია.** დისერტაციის ძირითადი შედეგები მოხსენებული იქნა:

– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის“ დეპარტამენტის გაფართოებულ სამეცნიერო სემინარებზე (თბილისი 2011-2012 წ.წ.).

**პუბლიკაციები.** დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებულია 4 სამეცნიერო სტატია, მათ შორის საქპატენტის მიერ „გეგმაში ოთკუთხა ფორმის ნაგებობის გადახურვის (ახალი ტიპის) წინასწარდაძაბული სივრცითი (სტრუქტურული) კონსტრუქცია“, რომელზეც საქპატენტის მიერ გაცემულია პატენტი.

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.** ნაშრომი შედგება შესავლის, 5 თავის, ძირითადი დასკვნების გამოყენებული ლიტერატურის და დანართებისაგან.



## Summary

The role of spatial-stem roofing constructions, especially, regular (structural) systems is an important part in architecture, that's why, the major role is given to the architectural forms of regular (structural) systems in special research field and experimental studies and in architectural-building practice this direction is important for projecting large buildings.

Wide use of prefabricated membrane constructions in building practice is connected to improvement of installation method, simplification of preparation and transportation of the construction, minimal usage of materials. The successful resolution of these issues will result in a total cost savings.

Modern level of regular (structural) systems construction, which is the synthesis of engineering constructions and mechanisms, doesn't satisfy requirements because the unified – general theory has not been established, which gives us opportunity to conduct the systemic analysis of constructions to be studied, from calculation to classification. It is not sufficiently developed construction solutions in regards to high technical-economical exploitation parameters. There is not completely determined the field of their usage and fields to be used in perspectives. The above-described situation complicates projecting and building of membranes and regular (structural) constructions in general, that's why it is important to develop a methodology that will enable us to realize the above mentioned constructions considering specific conditions of Georgia (seismically active region).

Regular spatial structural systems – are modern effective constructions. Their functional, technical, and artistic - aesthetic qualities makes extensive use of perspective warranty. Also, their use in large buildings - buildings, reduces material costs with 20-30%

The negative part of regular (structural) constructions described in the work is the fact that decline of power factors in stems of structural plate pyramids has an irregular nature, and in using of diagonal versions for pre-strain purpose, attachment of structural plates complicates its installation, in addition, regulation of power in construction elements at time of using of pre-strained flexible elements of concentric polygon forms is complicated as well, which complicates regulation of power factors

in structural plate pyramid stems which causes increase of operating power, reduce of the ability to carry and reliability.

The present work “calculation and construction of a new type of building-construction roofing pre-strained regular (structural) spatial construction” is dedicated to the attempt of complex solution of the above-mentioned problems and thus we suppose that the issues given in it is actual.

The goal of the work is to work out the issues of calculation and construction of a new type of building-construction roofing pre-strained regular (structural) spatial construction (patent #P11625 on proposed technical solution, official bulletin of industrial property, # 4 (368), 25.02.2013 issued by Sakpatenti), processing calculation and construction issues.

For this purpose there are discussed many kind of structural constructions, their advantages and disadvantages. There are studied typical projects implemented abroad and modern level of building technology in developed countries. According to their study and analysis we must discuss a new type pre-strained regular (structural) construction, which must solve and eliminate problems existing in technical solutions of existing constructions. It should be also processed new constructive solutions, calculation methodology; there should be determined their practical value and evaluation of its technical-economic efficiency.

Scientific novelty of the work is the following: there is processed a new roofing pre-strained regular (structural) partial construction, which gives us the solution and elimination of problems existing in technical solutions of existing constructions. There are also processed new constructive solutions and calculation methodology there; there are determined its practical values there. This is clearly evidenced by calculation results of the technical - economic analysis.

Practical value. According to conducted theoretical studies, practical experience, in compliance with building rules and according to “new type pre-strained spatial structural construction” developed on the base of recommendations, based on calculation methodology and economic efficiency, usage of a new type pre-strained regular (structural) spatial construction in building (patent P11625) is appropriate.

During realization of a proposed construction there will be provided the

design of elements and simplified installation, reduced material costs and construction time. Ability to carry a construction will be enhanced and its reliability will be increased during operation.

Approbation of the work. The main results of the work were reported to:

- Advanced research seminar of "Civil and Industrial Building" Department of Georgian Technical University (Tbilisi 2011-2012).

Publications. Volume and structure of the work. The work contains of the introduction, 5 chapters, main conclusions, references and appendixes.

# შინაარსი

შესავალი .....	20
თავი 1. არსებული სივრცით–დეროვანი და რეგულარული აგებულების (სტრუქტურული) კონსტრუქციები .....	23
1.1 სივრცით–დეროვანი და რეგულარული აგებულების (სტრუქტურული) კონსტრუქციების ზოგადი მიმოხილვა და კლასიფიკაცია.....	23
1.2 რეგულარული (სტრუქტურული) კონსტრუქციების სახეობები (ტიპები).....	63
1.3 არსებული სივრცით–დეროვანი და რეგულარული (სტრუქტურული) კონსტრუქციების გაანგარიშების არსებული მეთოდების მოკლე მიმოხილვა.....	67
1.3.1 შენიშვნები გარსების ანგარიშის თეორიის შესახებ.....	67
1.3.2 რეგულარული-სტრუქტურული გადახურვების დამაბულ- დეფორმირებული მდგომარეობის ანალიზი.....	72
1.4 წინასწარდამაბული კონსტრუქციების მიმოხილვა და კლასიფიკაცია.....	74
1.5 შემოთავაზებული სტრუქტურული კონსტრუქციის პროტოტიპების კონსტრუქციული და ტექნიკური გადაწყვეტების მოკლე მიმოხილვა.....	99
თავი 2. გადახურვის ახალი ტიპის გადახურვის წინასწარდამაბული რეგულარული (სტრუქტურული) სივრცითი კონსტრუქცია.....	105
2.1 შემოთავაზებული კონსტრუქციის ტექნიკური გადაწყვეის აღწერა.....	17905
2.2 გადახურვის ახალი ტიპის წინასწარდამაბული რეგულარული (სტრუქტურული) კონსტრუქციის გეომეტრიული პარამეტრებისა და ოპტიმალური სიმაღლის დადგენა.....	17913

თავი 3. შემოთავაზებული კონსტრუქციის გაანგარიშების საკითხები.....	119
3.1 კონსტრუქციის ელემენტის სიხისტის მატრიცა.....	119
3.2 კონსტრუქციის სიხისტის ზოგადი მატრიცა.....	121
3.3 გაანგარიშება ჩვეულებრივ (კლიმატურ) ტემპერატურულ ზემოქმედებაზე.....	123
3.4 შემოთავაზებული ახალი ტიპის კონსტრუქციის ტემპერატურულ ზემოქმედებაზე გაანგარიშება (შესავალი).....	125
3.4.1 ამაღლებული ტემპერატურის დროს გადაადგილებათა მეთოდის მატრიცული არაწრფივი განტოლების შედგენა.....	126
3.4.2 სტრუქტურული კონსტრუქციის ელემენტის (ღეროს) მყისი სიხისტის განსაზღვრა .....	129
3.5 შემოთავაზებული ახალი ტიპის წინასწარდამაბული სტრუქტურული კონსტრუქციის გაანგარიშების იდეა.....	136
3.6 რეგულარული (სტრუქტურული) სისტემების მოქნილი ელემენტების გაანგარიშება დიფერენცირებული სქემის გამოყენებით.....	143
3.6.1 ჩაკეტილი კონტურის მქონე ბაგროვანი საკოჭის გაანგარიშება...	143
3.6.2 წინასწარდამაბვის ძალის სიდიდის დანაკარგების განსაზღვრა ახალი ტიპის კონსტრუქციის საკოჭის ცილინდრული საგორავის პოჭოქიკებში.....	148
3.7 სეისმურ რაიონებში სტრუქტურული კონსტრუქციების გაანგარიშების განსაკუთრებულობები (ზოგადი მიმოხილვა).....	151
3.7.1 ვერტიკალური სეისმური დატვირთვის განსაზღვრა.....	154
3.7.2 ჰორიზონტალური სეისმური დატვირთვის განსაზღვრა .....	157
თავი 4. შემოთავაზებული და ტიპური კონსტრუქციების აგების ტექნოლოგია.....	159
თავი 5. შემოთავაზებული და ტიპური კონსტრუქციების ტექნიკურ– ეკონომიკური შედარება .....	166
დასკვნა .....	177
გამოყენებული ლიტერატურა.....	179

დანართი.....	183
დანართი 1.....	184
დანართი 2.....	195
დანართი 3.....	203

## ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1-1 – ზრრულ მდგომარეობათა მეთოდის დახასიათება.....	68
ცხრილი 5-1 – მასალების ხარჯი ტიპურ და შემოთავაზებულ კონსტრუქციებზე.....	168
ცხრილი 5-2 – შემოთავაზებული და ტიპური კონსტრუქციების მასალის ხარჯის ნატურალური და ერთეულის ღირებულება.....	169
ცხრილი 5-3–შემოთავაზებული და ტიპური კონსტრუქციების დამზადებისა, მონტაჟისა და სახურავის მოწყობის სამუშაოების დანახარჯები .....	171
ცხრილი 5-4 –შემოთავაზებული და ტიპური კონსტრუქციების სატრანსპორტო დანახარჯები (განიხილება კონსტრუქციის ტრანსპორტირება 500 კმ მანძილზე).....	173
ცხრილი 5-5 –ტიპურ და შემოთავაზებულ კონსტრუქციების საერთო (ჯამური) ღირებულება (ლ/კვ.მ.).....	175

## ნახაზების ნუსხა

ნახ.1.1 სტრუქტურული კონსტრუქციის მონტაჟი .....	25
ნახ.1.2 რეგულარული დეროვანი სისტემა (გეგმა, ჭრილი) .....	29
ნახ. 1.3 „მეროს“ სისტემის სტრუქტურული კონსტრუქციის კვანძი .....	32
ნახ. 1.4 „ოქტაპლატის“ სისტემის სფერული კვანძი .....	33
ნახ.1.5 „ტრიოდეტიკის“ სისტემის კვანძი .....	35
ნახ.1.6 სტრუქტურული კონსტრუქციის მონტაჟი სივრცითი წამწეებით .....	37
ნახ.1.7 SDC-ის სისტემის კვანძი და საკვანძო ელემენტები .....	38
ნახ. 1.8 „ტიუბაკორდის“ სისტემა, შედგენილი მილოვანი წამწეებისაგან .....	39
ნახ.1.9 სტრუქტურული კონსტრუქციის კვანძი, შესრულებული კვადრატული მილებისაგან .....	41
ნახ.1.10 იაპონია, თემატური პავილიონი .....	42
ნახ. 1.11 საკვანძო ელემენტი, კუთხვილიანი დეროვებით აღჭურვილი ბურთულა .....	43
ნახ.1.12 საკვანძო ელემენტი, შედგენილი ფურცლოვანი დეტალებით .....	44
ნახ.1.13 სივრცითი კონსტრუქციის ИФИ-ის სისტემის ასაწყობი კვანძი .....	44
ნახ. 1.14 ჩეხეთში დამუშავებული სტრუქტურული კონსტრუქციის კვანძის ტიპი .....	46
ნახ. 1.15 სამწახნაგა სივრცითი და ბრტყელი გადასაზიდი წამწეები .....	51
ნახ.1.16. სტრუქტურული კონსტრუქციის კრისტალების ტიპები .....	64
ნახ.1.17 ხის გემების წინასწარი დამაბვა ქერილის თოკების საშუალებით .....	75
ნახ.1.18 ქ. მოსკოვი, სახელმწიფო უნივერსიტეტის გადახურვა მსუბუქი თაღებით და წინასწარდამაბული სიმების გამოყენებით .....	76
ნახ.1.19 წინასწარი დამაბვის სქემები კოჭოვან კონსტრუქციებში .....	82
ნახ. 1.20 წინასწარდამაბული ბრტყელი კონსტრუქციების სქემები .....	88
ნახ. 1.21 ბრტყელი კონსტრუქციების ცალკეული ელემენტების დამაბული მდგომარეობა წინასწარი დამაბვის შემდეგ .....	90
ნახ. 1.22 კიდული გადახურვები .....	92
ნახ. 1.23 დადებითი და უარყოფითი სიმრუდის სივრცითი კიდული სისტემები (გარსები) .....	94
ნახ. 1.24 მემბრანული კონსტრუქციები, შესრულებული ბაგირების წინასწარი დამაბვით ...	95
ნახ.1.25 წინასწარდამაბული გადახურვის სტრუქტურული სივრცითი კონსტრუქცია (პროტოტიპი-1), გეგმა და ჭრილი .....	99



ნახ.1.26 წინასწარდამაბული გადახურვის სტრუქტურული სივრცითი კონსტრუქცია (პროტოტიპი-2), გეგმები და ჭრილი .....	101
ნახ.1.27 სტრუქტურული კონსტრუქციის სივრცითი ღეროვანი პირამიდა და კვანძი-I .....	102
ნახ.1.28 სტრუქტურული კონსტრუქციის კვანძები და საკვანძო ელემენტი .....	103
ნახ.1.29 სტრუქტურული კონსტრუქციის სივრცით ღეროვან პირამიდებზე მოძრავი ბლოკის განთავსების კვანძი .....	104
ნახ.2.1 გადახურვის სივრცითი კონსტრუქციის გეგმა .....	107
ნახ.2.2. გადახურვის სივრცითი კონსტრუქციის წინასწარდასაძაბავ ელემენტების განლაგების გეგმა ქვედა სარტყლის დონეზე .....	108
ნახ.2.3. გადახურვის სივრცითი კონსტრუქციის წინასწარდასაძაბავი ელემენტების განლაგების გეგმის ფრაგმენტი-1 .....	108
ნახ.2.4. გადახურვის სივრცითი კონსტრუქციის წინასწარდასაძაბავი ელემენტების განლაგების გეგმის ფრაგმენტი-2 .....	108
ნახ.2.5. გადახურვის სივრცითი კონსტრუქციის განივი და დიაგონალური ჭრილები.....	109
ნახ.2.6. გადახურვის სივრცითი კონსტრუქციის ღეროვანი პირამიდის გეგმა .....	109
ნახ.2.7. გადახურვის სივრცითი კონსტრუქციის ღეროვანი პირამიდის ჭრილი .....	109
ნახ.2.8. გადახურვის სივრცითი კონსტრუქციის ღეროვანი პირამიდის ზედა ღეროების შერთების კვანძი.....	110
ნახ.2.9. გადახურვის სივრცითი კონსტრუქციის ღეროვანი პირამიდის წვეროზე განთავსებული მიმმართველი ბლოკის კვანძი .....	110
ნახ.2.10. გადახურვის სივრცითი კონსტრუქციის ღეროვანი პირამიდის წვეროზე განთავსებული მიმმართველი ბლოკის კვანძი გეგმაში .....	110
ნახ.2.11. გადახურვის სივრცითი კონსტრუქციის ღეროვანი პირამიდის წვეროზე განთავსებული კრონშტეინის კვანძი .....	111
ნახ.2.12. გადახურვის სივრცითი კონსტრუქციის ღეროვანი პირამიდის წვეროზე განთავსებული კრონშტეინის ხედი „ბ-ბ“ .....	111
ნახ.2.13. ყაუშის ხედი ერთი მხრიდან განთავსებული სარკებით, ქანჩებით, ღეროვანი ელემენტითა და მილტუჩით .....	111
ნახ.2.14. ყაუშის ხედი ორივე მხრიდან განთავსებული წყვილი სარკებით, ქანჩებით, ღეროვანი ელემენტებითა და მილტუჩებით .....	112
ნახ.2.15. ყაუშის გეგმა (ფრაგმენტი) ერთი მხრიდან განთავსებული სარკებით,	

ქანჩებით, ღეროვანი ელემენტითა და მილტუჩით. მუშაობის პრინციპი .....	112
ნახ.2.16. ყაუშის გეგმა (ფრაგმენტი) ორივე მხრიდან განთავსებული წყვილი სარჩით, ქანჩებით, ღეროვანი ელემენტებითა და მილტუჩებით. მუშაობის პრინციპი .....	112
ნახ.2.17. გადახურვის შეაფრებული სივრცითი კონსტრუქციის განივი ჭრილი .....	113
ნახ.2.18. გადახურვის შეაფრებული სივრცითი კონსტრუქციის განივი ჭრილი და ფრაგმენტი გეომეტრიული პარამეტრების დასადგენად.....	115
ნახ. 3.1. არადეფორმირებული სქემა ღეროს სიხისტის მატრიცის ასაგებად .....	120
ნახ.3.2. გრძივი ძალების განაწილება სტრუქტურული გადახურვის ელემენტებში (ღეროებში) .....	124
ნახ. 3.3. გარეცენტრულად შეკუმშული ღეროების გაანგარიშებისთვის გეომეტრიული მახასიათებლები სანგარიშო მოდელისთვის .....	132
ნახ.3.4. ჩაკეტილი კონტურის მქონე ბაგროვანი საკოჭის საანგარიშო სქემა .....	144
ნახ.3.5. უწყვეტი ბაგროვანი საკოჭის ცილინდრულ საგორავზე შემოტარების (მოწყობის) სქემა, საკოჭის დაუძაბავი (უწყვეტი ხაზით) და დამაბული (წყვეტილი ხაზით) მდგომარეობის შემთხვევაში .....	149
ნახ.3.6. დისკრეტული საანგარიშო სისტემები ვერტიკალურ სეისმურ ზემოქმედებებზე სტრუქტურების გაანგარიშებისას .....	155
ნახ.3.7. სტრუქტურული კონსტრუქციებით გადახურული შენობა-ნაგებობების საანგარიშო სქემა ჰორიზონტალურ სეისმურ ზემოქმედებებზე გაანგარიშებისას .....	158
ნახ. 4.1. გადახურვის ბლოკის მონტაჟი ორი ამწით .....	161
ნახ. 4.2. შემოთავაზებული სტრუქტურული გადახურვის ბლოკის მონტაჟი ორი ამწით .....	163

## მადლიერება

სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისას გაწეული კონსულტაციისთვის და კვლევისთვის საჭირო მასალებით დახმარებისთვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით მეცნიერ-ხელმძღვანელს სრულ პროფესორს ბ-ნ ინგუმა მშვენიერაძეს.

ასევე უღრმეს მადლობას ვუხდით მეცნიერ-ხელმძღვანელს ასოც. პროფესორს ბ-ნ ბექა სურგულაძეს, ჩემს მიმართ გაწეული ღვაწლისა და დახმარებისათვის.

მადლობას ვუხდით სრულ პროფესორს ბ-ნ კონსტანტინე ჩხიკვაძეს და ასოც. პროფესორს ბ-ნ შახი ბაქანიძეს ნაშრომზე მუშაობის დროს კონსულტაციებისათვის.

აგრეთვე მადლიერება მინდა გამოვხატო ყველა იმ პიროვნების მიმართ ვინც დახმარება გამიწია ნაშრომზე მუშაობის პროცესში და მძღვედა საგულისხმო შენიშვნებსა და რჩევებს.

## შესავალი

შენობა-ნაგებობების გადახურვის სივრცით-ღეროვანი სამშენებლო კონსტრუქციების, კერძოდ, რეგულარული (სრტუქტურული) სისტემების როლი მნიშვნელოვანი ნაწილია არქიტექტურული შემოქმედებისა, ამიტომ სპეციალური კვლევების სფეროში და ექსპერიმენტალურ გამოკვლევებში რეგულარულ (სრტუქტურულ) სისტემების არქიტექტურულ ფორმებს ძირითადი როლი ენიჭება, ხოლო არქიტექტურულ-სამშენებლო პრაქტიკაში ეს მიმართულება მნიშვნელოვანია დიდმალიანი ნაშენების პროექტირებისას.

მას შემდეგ რაც ცხადი გახდა, რომ არქიტექტურის საგანს წარმოადგენს არა რაიმე გარსი, არამედ სივრცე მის შიგნით, დინამიკური კონსტრუქციების როლი შესამჩნევად გაიზარდა.

ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად იზრდება მოთხოვნილება დიდმალიან სამრეწველო და საზოგადოებრივ შენობებზე, რომელთა გადახურვაშიც ბრტყელი კონსტრუქციების პარალელურად სულ უფრო ხშირად გამოიყენება სივრცითი კონსტრუქციები. ასეთი გადახურვები თავიანთი სივრცითი მუშაობის წყალობით იძლევიან მასალის დიდ ეკონომიას, კონსტრუქციის სამშენებლო სიმაღლის და შენობის მოცულობის შემცირების საშუალებას. მათ არ გააჩნიათ დატვირთების გადაცემის საფეხუროვანი სისტემა, რადგან შერწყმულია როგორც მზიდი ასევე შემომზლუდავი ფუნქციები, რაც დიდი მალეების გადახურვის საშუალებას იძლევა. ამასთან დაკავშირებით დიდ ყურადღებას იპყრობს ხისტი სივრცითი ბადისებრი და რეგულარული (სრტუქტურული) კონსტრუქციები. კერძოდ, სხვადასხვა სახის გარსები, გუმბათები და სტრუქტურები; აგრეთვე კომპლექსურ - კომბინირებული ბადისებრი გარსები. ასეთ კონსტრუქციებს განსაკუთრებულ გამომსახველობას ანიჭებს მისი მრავალფეროვანი კონფიგურაციების არსებობა, რაც სასიამოვნო ინტერიერების და ექსტერიერების მოწყობის შესაძლებლობას იძლევა.

სივრცითი კონსტრუქციების თაღოვან და გუმბათოვან ნაგებობათა პრიორიტეტების გამოყენებას ხუროთმოძღვრები მიმართავდნენ ჯერ კიდევ უძველეს დროში, მაგრამ სამშენებლო ტექნიკის დაბალი დონე, ადგილობრივი მასალის მცირე სიმტკიცე, სამშენებლო მექანიკის კანონების არასრულყოფილი ცოდნა და სხვა, ცხადია საგრძნობლად ზღუდავდნენ გარსების წინამორბედების (პროტოტიპების) განვითარებას.

საქართველოში ზოგადად გარსების წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს უძველესი დარბაზული ტიპის საცხოვრებელი სახლის გადახურვის კონსტრუქცია „გვირგვინი“. ის თავის მხრივ სათავეებს იღებს ძველი იბერიულ-კოლხური ანტიკური უჯრედოვანი გადახურვებიდან, რომელიც შედგებოდა ურთიერთზე დალაგებული მორებისაგან (ან დამუშავებული განივი კვეთის მქონე კოჭებისაგან) და გადაიხურებოდა „გვირგვინის“ ტიპის პირამიდული სახურავით. კოჭების რიგები კეთდებოდა საფეხუროვანი ნაშვერებით, რომლებიც თანდათანობით ამცირებდნენ გადასახურავ მალს და სივრცეს, ხოლო ზედა წვეროში ტოვებდნენ ხვრელს კვამლის სადენად. ხის გარდა გვირგვინოვან გადახურვებს იყენებდნენ ქვის ვარიანტშიც.

ასაწყობი გარსების კონსტრუქციების ფართოდ გამოყენება სამშენებლო პრაქტიკაში დაკავშირებულია მონტაჟის მეთოდის გაუმჯობესებასთან, კონსტრუქციის დამზადების და ტრანსპორტირების გაადვილებასთან, მასალის მინიმალურ გამოყენებასთან. ამ საკითხების წარმატებით გადაწყვეტა ჯამში მოგვცემს საერთო დანახარჯების მნიშვნელოვან ეკონომიას.

რეგურალური (სტრუქტურული) სისტემების მშენებლობის თანამედროვე დონე, რომელიც წარმოადგენს საინჟინრო კონსტრუქციებისა და მექანიზმების სინთეზს, არ აკმაყოფილებს მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, რადგან არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი საერთო სეისმომდეგობის თეორია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება საკვლევი კონსტრუქციების სისტემური ანალიზის

ჩატარება მათი გაანგარიშებიდან კლასიფიკაციამდე. არასაკმარისადაა დამუშავებული კონსტრუქციული გადაწყვეტები მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური და საექსპლუატაციო მაჩვენებლების მხრივ; ბოლომდე არ არის განსაზღვრული მათი გამოყენების სფერო და პერსპექტივაში გამოსაყენებელი სფეროები.

ზემოთ აღწერილი მდგომარეობა ართულებს ზოგადად გარსებისა და რეგურალური (სტრუქტურული) კონსტრუქციების დაპროექტებასა და მშენებლობას, ამიტომ მნიშვნელოვანია ისეთი მეთოდოლოგიის დამუშავება, რომელიც საშუალებას მოგვცემს აღნიშნული კონსტრუქციების განხორციელებას საქართველოს სპეციფიკური პირობების (სეისმურად აქტიური რაიონი) გათვალისწინებით.

ამრიგად, სივრცითი რეგულარული აგებულების სისტემები - თანამედროვე ეფექტური კონსტრუქციებია. მათი ფუნქციონალური, ტექნიკური და მხატვრულ-ესთეტიკური თვისებები იძლევა ფართო გამოყენების პერსპექტივის გარანტიას. აგრეთვე, მათი გამოყენება დიდმალიან შენობა-ნაგებობებში 20-30%-ით ამცირებს მასალის ხარჯს.

## თავი 1. არსებული სივრცით–ღეროვანი და რეგულარული აგებულების (სტრუქტურული) კონსტრუქციები

### 1.1. სივრცით–ღეროვანი და რეგულარული აგებულების (სტრუქტურული) კონსტრუქციების ზოგადი მიმოხილვა და კლასიფიკაცია

ახალმა არქიტექტურულმა ფორმების შექმნამ, რომელთა აგება (წარმოქმნა) წარმოებს მრავალჯერადად განმეორებადი ელემენტების გამოყენებით, მიგვიყვანეს ახალი სივრცითი ღეროვანი სისტემების შექმნამდე. რეგულარული (სტრუქტურული) კონსტრუქციები ყველაზე თანამედროვე მონტაჟის მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა და რიგ უპირატესობებს ფლობენ, რომელთა სწორი გამოყენებით მიიღწევა ამ სისტემათა ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლება.

გეომეტრიული აგებულებით რეგულარული (სტრუქტურული) კონსტრუქციები ლითონის კრისტალური მესერის მსგავსია და სივრცული სისტემის ტიპური მაგალითია. ნებსითად მიმართული ძალა, მოდებული ნებისმიერი სტრუქტურის კვანძზე, პირველ რიგში იწვევს ძალვას სივრცულად განლაგებულ ღეროებში, მომიჯნავე კვანძთან. სტრუქტურულ სისტემას არ გააჩნია ლითონის კონსტრუქციებისათვის ტრადიციული გრძივები და კავშირები. მათ ფუნქციებს ასრულებენ სასარტყელო ბადეების და დახრილი გისოსების მზიდი ღეროები.

შეყურსული ძალების მოქმედების შემთხვევაში ღეროები ქმნიან დრეკად ჩამაგრებებს კვანძებში, რითაც მალღდება სისტემის მდგრადობა.

სტრუქტურები სივრცულად მუშაობისა და ურთიერთგადამკვეთი წამწეების წყალობით, გამოირჩევიან ამაღლებული სიხისტით და ამიტომ სიმაღლის ფარდობა მალთან აღწევს  $H/L=1/16$ ;  $1/25$  ნაცვლად,  $1/6$ ;  $1/8$ -ისა (ა. მაგ. ბრტყელი წამწეებისთვის). ერთსართულიან სამრეწველო შენობებში, რომელთა წამწეების ქვედა სარტყლის ნიშნული 8 მეტრის რიგისაა, ზემოთ აღნიშნული მონაცემები მნიშვნელოვნად ამცირებს შენობის მოცულობის და მასთან დაკავშირებულ საექსპლუატაციო ხარჯებს.

დიდ მალიანი კონსტრუქციებისათვის სტრუქტურები გამოიყენება სვეტების გამსხვილებული ბადით, რომელზეც გადასვლა პროგრესულია.

ასეთი სქემების უპირატესობა მდგომარეობს თავისუფალ დაგეგმარებაში ტექნოლოგიის შეცვლისას, აგრეთვე ფართობის (მოედნის) ეკონომიურ გამოყენებაში.

სამრეწველო დანიშნულების შენობების რეგულარულ (სტრუქტურულ) კონსტრუქციებით გადახურვისას კიდული ტრანსპორტის პრობლემა გადაიჭრება უფრო იოლად, ვიდრე ჩვეულებრივ გადახურვებში. კვანძთა ხშირი ბადე ტელფერების, კონვეირების წამწეთა ხაზების ნებისმიერი მიმართულებით შეკიდების საშუალებას იძლევა მინიმალური დანახარჯებით.

გადახურვის საკუთარი წონისგან კონსტრუქციაზე მოქმედი დატვირთვის შემცირება არის თანამედროვე მშენებლობის ერთ-ერთი აქტუალური ამოცანა.


გამოთვლებიდან და გამოცდილებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით სამრეწველო მშენებლობაში სახურავის ქაფბეტონით დათბუნებულ რკინაბეტონის 6 და 12 მეტრიანი მალის ფილებს არ შეუძლიათ კონკურენცია გაუწიონ ქაფპლასტით დათბუნებულ ფენილს.

სახურავის მალის შემცირება  $6 \div 12$  მ-დან  $2 \div 3$  მ-მდე სტრუქტურაში, ქმნის უგრძობო ლითონის ფენილისა და მემბრანების გამოყენების პირობებს.

კვანძების და ღეროვანი ელემენტების ერთტიპიულობა გვამლევს საშუალებას გადავიდეთ ლითონის კონსტრუქციების ნაკადურ წარმოებაზე, სხვადასხვა დანიშნულების შენობებისთვის, ქარხნული დამზადების მკვეთრად გაიაფებით. ნაკადური წარმოება იძლევა ტექნოლოგიის გაუმჯობესებას და კონსტრუქციათა დამზადების სიზუსტის ამაღლების საშუალებას.



სამშენებლო მოედანზე (მშენებლობის ადგილზე) სტრუქტურული კონსტრუქციები უმეტეს შემთხვევაში გადააქვთ ცალკეული ელემენტების ან ერთი მეორეში ჩაწყობილი დეროვანი პირამიდების სახით, რომლებიც ქმნიან მყარ წყობას. დეროვანი სისტემის აწყობა წარმოებს სამშენებლო მოედანზე სახურავთან ერთად და დიდი ბლოკების ( ან მთლიანი) სახით მონტაჟდება საპროექტო მდგომარეობაში (ნახ.1.1.)



ნახ.1.1. სტრუქტურული კონსტრუქციის მონტაჟი

ასეთი მეთოდით ტრანსპორტირება ზოგავს სატრანსპორტო ხარჯებს. სტრუქტურები არის ქარხნული დამზადების თითქმის ერთადერთი კონსტრუქცია, ძნელად მისაწვდომი რაიონებისთვის, სადაც სამშენებლო ელემენტების გადაზიდვა შესაძლებელია მხოლოდ ავიაციით.

მიუხედავად ელემენტების საკმაოდ დიდი რაოდენობისა, რომლებისგანაც ადგილზე აწყობენ კონსტრუქციას, მისი მონტაჟი უფრო სწრაფია და ეკონომიური, ვიდრე ჩვეულებრივი გადახურვისას. ამის საშუალებას კი იძლევა დეროვან კვანძოვან ელემენტებად შეერთების სიმარტივე და დამზადების მაღალ სიზუსტე, რომელიც არ საჭიროებს მონტაჟისას კორექციას.

სტრუქტურების კონსტრუქციულ სისტემათა უმრავლესობა ასაწყობ-დასაშლელია და გამოიყენება მრავალჯერადად.

სტრუქტურებს აქვთ რიგი არსებითი ნაკლოვანებები, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული მათ ღირსებებთან.

შინაგანი აგებულების მიხედვით კონსტრუქციულ სქემაში მყოფი სტრუქტურები თავის ბუნებრივ ანალოგებს უთმობენ იმაში, რომ სივრცულობასთან ერთად იღებენ ხისტი უნიფიკაციის სახეს, რის შედეგადაც ხდება მასალის ხარჯის გაზრდა. ელემენტების ხარისხი, კვანძებში შეუღლების სირთულე და ელემენტების დიდი რაოდენობის აწყობის აუცილებლობა არის ძირითადი ტექნიკური პრობლემა, მაგრამ საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სტრუქტურები, განსაზღვრულ პირობებში, პროგრესული კონსტრუქციებია.

მათი ეფექტურობის შემდგომი ამაღლება შესაბამისობაშია ტექნიკური პროგრესის ტენდენციებისა, რაც ნაკადურ წარმოებასა და დამზადების სიზუსტის ამაღლებაში მდგომარეობს.

სივრცითი ღეროვანი კონსტრუქციები შეიძლება იყოს ბრტყელი (სტრუქტურული ფილების სახელწოდებით) და მრუდხაზოვანი (ბადისებრი გარსები).

ბრტყელი სივრცითი სისტემები, სათანადო სიხისტის უზრუნველსაყოფად შეიძლება იყოს ორფენოვანი, ხოლო ბადისებრი გარსები - როგორც ერთფენოვანი, ისე ორფენოვანი. ერთფენოვან კონსტრუქციებს აქვთ პარალელურ ბადისებრი ზედაპირი, რომლებიც ერთმანეთთან შეერთებული არიან ცალკეული ხისტი კავშირებით. ლითონის სივრცით-ღეროვან კონსტრუქციებს ტრადიციულ კონსტრუქციებთან შედარებით ახასიათებთ რიგი უპირატესობები, რომელთაგან ძირითადია:

- სისტემის მუშაობის სივრცულობა;
- დიდი მალეების გადახურვის შესაძლებლობა;
- გადახურვის სამშენებლო სიმაღლის სიმცირე;

- გადახურვის შემომზღუდავი კონსტრუქციების სიმსუბუქე კვანძების ხშირი ბადის გამო;
- კვანძების და ღეროვანი ელემენტების მაქსიმალური უნიფიკაცია;
- მონტაჟის სრულყოფილი, გაუმჯობესებული მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა, რაც მდგომარეობს სამშენებლო მოედანზე მის აწყობაში და მსხვილ ბლოკებად მის აწევაში;
- აკრეფა-დემონტაჟის შესაძლებლობა;
- არქიტექტურული გამომსახველობა;
- კომპიუტერული გაანგარიშების დიდი შესაძლებლობა.

ღეროვან სტრუქტურულ სისტემებს ახასიათებს ნაკლოვანებებიც, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული მათ ღირსებებთან: კვანძური შეუღლებით სირთულე და დიდი რაოდენობით ასაწყობი ელემენტები.

ზემოთ ჩამოთვლილი არქიტექტურული, კონსტრუქციული და სამშენებლო ღირსებები განაპირობებენ ღეროვანი სტრუქტურული სისტემების ფართოდ გამოყენების მიზანშეწონილობას. მასალის ხარჯი მცირდება 10-20%-ით, შრომითი დანახარჯები 15-25%-ით, ნაგებობის აგების ვადები 10-25%-ით, ღირებულება 15-30%-ით და სხვ.

რეგულარული (სტრუქტურული), ანუ ჯვარედინ ელემენტებიანი სისტემები (კონსტრუქციები) სულ ორი-სამი ათეული წელიწადია რაც გამოჩნდნენ სამშენებლო პრაქტიკაში. მათ ნიშანდობლივ თვისებას წარმოადგენს, როგორც ამას სახელწოდებაც გვიჩვენებს, ძირითადი, მზიდავი ელემენტების (ფერმები, წიბოები) განლაგება ურთიერთ ჯვარედინად (მართობულად) და ამასთან თანაზომიერი, სისტემატური ბიჯით და სტრუქტურით ორივე ურთიერთმართობი მიმართულებით.

გადახურვის მზიდი ბრტყელი კონსტრუქციები (კოჭები, ფერმები, ჩარჩოები), ჩვეულებრივად, გეგმარდება და გაანგარიშდება მათი ერთობლივი მუშაობის გაუთვალისწინებლად, ვინაიდან ისინი ერთიმეორესთან შეერთებული არიან შედარებით სუსტი კავშირებით. თუ ამ კავშირებს გავაძლიერებთ, მაშინ შეიძლება მივიღოთ ე. წ. ჯვარედინ-

ელემენტებიანი კონსტრუქციები, რომლებიც ორი მიმართულებით მუშაობენ. ასეთ კონსტრუქციებს აქვთ მცირე სიმაღლე, მიუხედავად მათ მიერ გადახურული დიდი მალეებისა, რაც საშუალებას იძლევა შემცირდეს შენობის მოცულობა.

ჩვეულებრივად, ჯვარედინი ელემენტები განგმირ კედლიანი ღეროვანი სისტემებისაგან (ფერმებისაგან) შედგება, ხოლო კონსტრუქცია ორფენიან ბადისებრ განგმირ კედლიან გარსს წარმოადგენს, სადაც ზედა და ქვედა ცალკეული ბადეები ერთმანეთთან ხისტად არიან შეერთებული. ზოგ შემთხვევაში ჯვარედინი სიტემები წარმოადგენენ ჯვარედინ-წიბოვან კონსტრუქციებს, ხოლო თუ ზემოთ მოთავსებულია მთლიანი ფილა, მაშინ მათ სტრუქტურულ ფილებს უწოდებენ.

ზოგად შემთხვევაში, ცხადია, სტრუქტურულ სისტემებს შეიძლება მიეცეს ნებისმიერი გარსების ფორმა, როგორც ეს ბიზედაპირებიან რიკულოვან სფერულ გარსებს აქვთ.


სტრუქტურული კონსტრუქციები ჯვარედინი დახურვებით წარმოადგენენ მსუბუქ სივრცით ფილებს, რომლებიც ერთდროულად მუშაობენ სხვადასხვა მიმართულებით ღუნვაზე და გრეხვაზე. ისინი ხასიათდებიან დიდი სიხისტით, სეისმომედეგობით და საგრძნობლად შემცირებული სამშენებლო სიმაღლით სიბრტყით კონსტრუქციებთან შედარებით  $h = \left( \frac{1}{20} \div \frac{1}{25} \right) \ell$ .

რეგულარულ სისტემებში ძირითად საკითხს შეადგენს კვანძების კონსტრუქციული გადაწყვეტა. ღეროების მიერთება კვანძებში გართულებულია ღეროების მილისებრი პროფილის გამოყენების გამო. კვანძები ხორციელდება ბურთულოვანი კონექტორების გამოყენებით, რომლებსაც ღეროები ემაგრება შედუღებით ან ხრახნებით.

რეგულარული კონსტრუქციების ანგარიში საკმარისად რთულია. ამიტომ მათ მუშაობას ამოწმებენ მოდელელებზე, ან ნატურალური ობიექტების გამოცდით.

ჯვარედინ ელემენტებიანი დახურვების მეცნიერული კვლევა-ძიებისა და პრაქტიკული რეალიზაციის საქმეში მნიშვნელოვან მუშაობას აწარმოებენ მოსკოვის არქიტექტურის ინსტიტუტში – „მაი“-ში (პროფ. მ. ს. ტუპოლევი, დოც. ა. პოპოვი და სხვ.), აგრეთვე საზღვარგარეთ (აშშ, კანადა, ინგლისი, გდრ, გფრ და სხვ.).

ჯვარედინი სტრუქტურა გამოყენებულ იქნა საგამოფენო პავილიონებში, კერძოდ, სმმგ („ვდნხ“) მოსკოვში, „ექსპო\_67“ და „ექსპო\_70“ გამოფენებზე, შესაბამისად, მონრეალში და ოსაკაში, აგრეთვე ქ. ტულაში – დრამატიული თეატრის შენობის გადასახურავად, ნორილსკის ახალი თეატრის შენობის სახურავში და სხვ.



ნახ.1.2. რეგულარული ღეროვანი სისტემა (გეგმა და ჭრილი)

ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივ შენობათა ყველაზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ობიექტი გასულ საუკუნეში (რეგულარული ღეროვანი სისტემის გამოყენებით) აშენებული იქნა ქალაქ მოსკოვში კრემლის ყრილობათა სასახლე, კერძოდ, მისი ცენტრალური დარბაზის გადახურვა განხორციელებულ იქნა ჯვარედინ ელემენტებიანი კონსტრუქციებით, რომლის მალი და სიგანე – დაახლოებით 60,0 მ-ის

ტოლია. გადახურვის განივი კოჭების პროფილი წარმოადგენს ფოლადის ორტესებრ პროფილს, ხოლო გრძივი კოჭები რიკულოვანია. კოჭების განივკვეთის სიმაღლე 3,5 მ.

ნახ.1.2-ზე ნაჩვენებია უმარტივესი რეგულარული ღეროვანი სისტემის გეგმა და ჭრილი. ამ შემთხვევაში სისტემას აქვს ნულოვანი გაუსის სიმრუდე (ასე ვთქვათ, ბრტყელია), ამასთან ჯვარედინი ფერმები ზუსტად ერთნაირია.

რეგულარული – ღეროვანი სისტემები ხორციელდება ლითონისაგან, რკინაბეტონისაგან, არმოცემენტისაგან და სხვა მასალებისაგან. მათი მალი ჩვეულებრივად დიდია –  $l \geq 30.0$  მ, ხოლო განივი კვეთის სიმაღლე –  $h \geq 0.5 \div 1.0$  მ.

რეგულარულმა სისტემებმა დღემდე ვერ ჰპოვეს ფართო გავრცელება, თუმცაღა მათ გააჩნიათ საინტერესო კონსტრუქციული და არქიტექტურული შესაძლებლობანი.

ახალი ღეროვანი სისტემების ძიებისას ერთდროულად ტარდება კვანძთა კონსტრუქციული გადაწყვეტის დამუშავება. ინჟინერთა უმრავლესობა ორიენტირებული იყო სტრუქტურებისათვის უმეტესად პროგრესულ თხელკედლიან მილოვან პროფილებზე.

1942 წ. კონსტრუქციული სისტემა „მერა“ პირველად იყო წარმოდგენილი მენგერირინჰაუზენის მიერ. 50 წ–დან იგი ფართოდ გამოიყენება გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, აფრიკის ქვეყნებში, იაპონიაში.

ასაწყობი და მცირე ანგარიშებისათვის 1944–45 წწ. კ. ვაქსვანმა (აშშ) დაამუშავა კვანძები.

1945 წ. აშშ–ში შეიქმნა სისტემა „იუნისტრეტი“, რომელიც ძირითადად გამოიყენება სასკოლო შენობებისათვის, საგამოფენო პავილიონებისათვის და სპორტდარბაზებისათვის.

50–იან წლებში ინგლისური ფირმების მიერ დამუშავებული იქნა სისტემა „სპეიჩ–დეკი“, მერე – მისი ნაირსახეობა – „ნენკ–სისტემა“. ნაკლებ

გავრცელება მოიპოვა მაკოვსკის კონსტრუქციულმა სისტემებმა „პირამ-რუფ“ და „მეტ-რამ“.

გერმანიაში 1955–57წწ. კონცერნმა „მანესმა“ მიიღო ფრულიხის წინადადება „ოქტაპლატის“ შედუღებით განხორციელებული სტრუქტურული კონსტრუქციების შესახებ.

1959–1960 წწ. ფულერმა წარმოადგინა კვანძი, რომელშიც მილოვანი დეროები შეერთებულია ჭანჭიკებით ფურცლოვან ყურებზე. გრებილი პროფილებისაგან დამზადებული სტრუქტურები ჭანჭიკებზე ასაწყობი და ფურცლოვანი ფოლადის შედუღებით განხორციელებული კვანძებით გამოიკვლია ფ. ლედერერმა 1961–1982 წწ. (ჩეხოსლოვაკია).

საფრანგეთში შატომ დაამუშავა და გამოიყენა. 50 მ-მდე მალეების გადახურვისათვის კვანძთა სისტემები SDC, „პირამიტუკი“ და „ტრიდიმატუკი“.

კანადაში 1962 წ. ერთ-ერთი ფირმის მიერ (კონსულტანტი პროფ. დ. კაიტი) შემოთავაზებული იქნა ორთოგონალური სისტემა „ტრიოდეტიკი“; ზოგიერთი ნაკლებად ცნობილი კონსტრუქციული გადაწყვეტილებები გამოიყენება იაპონიაში, ინდოეთში და სხვა ქვეყნებში.


საგამოფენო პავილიონებისათვის „ექსპო-67“ მონრეალში და „ექსპო-70“ იაპონიაში გამოყენებული იქნა მრავალფეროვანი კვანძები განხორციელებული შედუღებით ან ჭანჭიკებზე შეერთებით.

ზემოთ ჩამოთვლილიდან ყველაზე უნივერსალურია „მეროს“, „ოქტაპლაინის“, „ტრიოდეტიკის“ სისტემების კვანძები. ისინი შეიძლება გამოყენებული იქნას ნებისმიერი დეროვანი კონსტრუქციული სქემისათვის. სისტემები „იუნისტრეტი“ და „სპის-დეკი“ დამუშავებულია ორთოგონალური სტრუქტურებისათვის.

საზღვარგარეთ კვანძთა ეს სისტემები ყველაზე მეტადაა გავრცელებული.

სისტემა „მეროს“ ეკუთვნის კვანძოვანი ელემენტი (ნახ.1.3) ჩამოსხმული მრავალწახნაგასაგან 18 კუთხვილოვანი ნახვრეტი:

მრავალწახნაგა ჩახაზულია სფეროში. ელემენტის ზომა განიკვეთში 127 მმ. მილოვანი ღეროები  $d=60-90$  მმ, თავმოყრილი კვანძში, მთავრდება ცილინდრული კუთხვილიანი ბუნიკით, რომელთა ზომა ნახვრეტების ზომის შესაბამისია.



ნახ. 1.3. „მეროს“ სისტემის სტრუქტურული კონსტრუქციის კვანძი.

სისტემა ითვალისწინებს ღეროების შეერთების მრავალ ვარიანტს.

კონსტრუქცია ასაწყობ-დასაშლელია, მაგრამ არსებობს „მეროს“ სისტემის მრავალ სტაციონალური ნაგებობაც. მონტაჟის საორიენტაციო შრომატევადობაა  $1 \div 1.5$  კაც-სთ/მ<sup>2</sup>.

სისტემა „მერო“ გამოიყენება მრავალი ნაგებობებისათვის: გადახურვებიდან და შენობების კედლებიდან დაწყებული საგამოფენო სტენდებამდე. მისი შესაძლებლობების საჩვენებლად შეიძლება მოვიყვანოთ ზოგიერთი მაგალითი:


- სუდანის (ხართუმი) საგამოფენო პავილიონის ჩარჩოს კარკასი, რომელშიც ორმალიან ჩარჩოებს (მალებით 2X20მ) აქვთ სამწახნაგოვანი განიკვეთები.
- წმ. ელენეს დარბაზი ბონში ზომით 15X15 მ.
- სალექციო დარბაზი შტუტგარტში (გერმანია) ზომით 22,5X40 მ.
- ქარხნის გადახურვა ქ. დრეიში (საფრანგეთი) კონსოლური ფილის სახით, დგარების ბიჯით 14 მ.



- დიუსელდორფ–ელერის კირხა (გდრ), რომელიც მთელი მზიდი კონსტრუქცია (კედლები და გადახურვა).
- ქ. ბატის (ინგლისი) ავეჯის ქარხნის უკოქო უჭრადი გადახურვა ზომით 128X98 მ, კოლონათა ბადით 16X16 მ.
- ბერლინის „მომავლის ქალაქის“ საგამოფენო პავილიონები (1957 წ.)

ყველაზე გვიანდელი კონსტრუქციებიდან, სადაც გამოიყენებოდა „მეროს“ ტიპის კვანძები, უნდა აღინიშნოს გდრ–ის პავილიონის კინოპროექციის დარბაზი გამოფენაზე „ექსპო–70“ – წაკვეთილი სფეროს სახით დიამეტრით 30 მ.

თავისი სიმარტივით „ოქტაპლატის“ სისტემის კვანძის შედუღების კონსტრუქციამ დაიმსახურა აღიარება. კვანძოვანი ელემენტი, ქვესადებ რგოლზე ორი დატვირთული ნახევრებისაგან შედუღებული, წარმოადგენს სფეროს (ნახ.1.4). კვანძს არ გააჩნია არანაირი შეზღუდვა ღეროების მისაერთებლად, რომლებიც წარმოადგენენ მოჭრილ შესაბამისი სიგრძისა და მართი კუთხით მოჭრილ მილებს (ბოლოების სპეციალური დამუშავების გარეშე). კვანძების ერთტიპიურობა შესაძლებელს ხდის შედუღება ვაწარმოთ სპეციალური ნახევარავტომატური მოწყობილობებით. კვანძის ნაკლია მცირე სხვაობები მილების სიგრძეში და სამონტაჟო შედუღების დიდი მოცულობა.



ნახ. 1.4. „ოქტაპლატის“ სისტემის სფერული კვანძი.

„ოქტაპლათის“ სისტემა უძლებს მნიშვნელოვან დატვირთვებს და ამიტომ გამოიყენება ფოლადის კონსტრუქციებში (ფოლადისაგან დენადობის ზღვარით 240–340მპა). ძალებმა ღეროებში, რომელთაც იჭერს საკვანძო სფერო, შეიძლება მიაღწიონ 3.5 ტნ = 35 კნ–ს.

ჩვეულებრივ გამოიყენება  $d=65-115$  მმ დიამეტრის მილები.

„ოქტაპლათის“ სისტემის გადახურვებს ადუღებენ ცალკეული ელემენტებისაგან სამშენებლო მოედანზე, ხოლო ხშირად საპროექტო ნიშნულზეც. მიღებულია მონტაჟის წარმოება საპროექტო ნიშნულზე წამწებით, მათ შორის სათანადო შემაერთებელი ღეროების ჩადგმით.


„ოქტაპლათის“ სისტემებს კვანძების გამოყენების არეალი მნიშვნელოვნად ფართოა სხვა სისტემებთან შედარებით. ისინი გამოიყენებიან ბრტყელ და ნაკვეციან გადახურვებში, ორმაგი სიმრუდის გარსებში, სამრეწველო შენობების, სპორტული და სალექციო დარბაზების, დახურული სტადიონების, საგამოფენო პავილიონების და სხვა გადახურვებში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქვემოთ მოყვანილი ნაგებობები, რომლებიც „ოქტაპლათის“ სისტემის კვანძითაა დამონტაჟებული.

- ქ. მადრიდის ლუდის ქარხნის გადახურვა (ღეროვანი სისტემა სამკუთხოვანი უჯრედებით ეკუთვნის რიკოლეს, ბადის მოდელია 1,87 მ, სიმაღლე 2,2 მ, ნაგებობების ზომები გეგმაში – 44X56 მ, გადახურვა კონტურითაა დაყრდნობილი; ფოლადის ხარჯია 45 კგ/მ<sup>2</sup>).
- ქ. მადრიდის „რეალის“ კლუბის საკალათბურთო დარბაზის გადახურვა (ზომები გეგმაში – 70X51 მ, კონტურზე დაყრდნობით).
- აშშ სალაროების აპარატების პავილიონი 1964–65 წწ. მსოფლიო გამოფენაზე ქ. ნიუ-იორკში (სქემა რიკოლესია სამკუთხოვანი უჯრედებით, გეგმა რთულია, ზომით 23X39 მ). სტრუქტურაშია შესრულებული დახურვა და სართულშუა გადახურვა.

- ქ. კელნ–ფლიტერდის კირხა (გერმანია) (გამოყენებულია სტრუქტურათა უდიაგონალო ორთოგონალური სისტემა, ზომები გეგმაში – 15X15 მ, კონტურზე დაყრდნობით; სამაგალითოა სტრუქტურული გამომსახველობით).
- სამრეწველო შენობის გადახურვა მალით. 35 მ (ღეროვანი სისტემა სამკუთხა უჯრედებით ეკუთვნის რიკოლეს, ბადის მოდულია 2მ, სიმაღლე 1,75 მ).
- გარსული სახით გადახურვა ბადის სამკუთხა უჯრედებით.
- სამრეწველო შენობის მრავალმალიანი გადახურვა იაპონიაში მალით 24X24 მ (ზედა ბადის დიაგონალური განლაგებით კონტურის მიმართ).

ერთ–ერთი ყველაზე ორიგინალური სისტემა „ტრიოდეტიკი“. იგი გამოიყენება ასაწყობ–დასაშლელ და სტაციონალურ ნაგებობებისათვის; „ტრიოდეტიკის“ სისტემა შედგება საკვანძო ცილინდრისაგან სპეციალური პროფილის ჩანაჭრებით და შექყლეტილი ბოლოებიანი მილოვანი ღეროები, რომლებიც დამუშავებულია ამ ჩანაჭრების შესაბამისად (ნახ.1.5). კვანძის ჩანაჭრებში ყველა მილი ფიქსირებულია ერთი მომჭერი ჭანჭიკით. იგი შეიძლება გამოყენებული იქნას ნებისმიერი გეომეტრიული ფორმის ღეროვანი კონსტრუქციებისათვის, როგორც ერთშრიანი ისე ორშრიანისათვის.



ნახ.1.5. „ტრიოდეტიკის“ სისტემის კვანძი.

1967 წ-მდე კონსტრუქციებისათვის ალუმინის შენადნობები პირობითი დენადობის ზღვრით  $\sigma = 230$  მპა, როცა  $E = 0.1\%$  (დეროებისათვის) და  $\sigma = 260$  მპა, როცა  $E = 0.1\%$  (კვანძოვანი ელემენტებისათვის).

1964 წ. მონაცემებით კვანძები „ტრიოდეტიკი“ ვარგისია გადახურვებისათვის ზომით 30X80 მ (ორთოგონალური სქემის დროს) და დატვირთვისათვის  $1,1$  კნ/მ<sup>2</sup> (აქედან  $0,40$  კნ/მ<sup>2</sup> – მუდმივი და  $0,70$  კნ/მ<sup>2</sup> – დროებითი დატვირთვა). დასაშვებია ქარის დაწნევა  $g=0,80$  კნ/მ<sup>2</sup> 10 მ სიმაღლეზე.

ამ დროს გისოსებისათვის გამოიყენება 76/3 მმ-მდე დიამეტრის მილები, სარტყელებისათვის – 144/3 მმ-მდე; შენადნობის მაქსიმალური ხარჯი აღწევს  $6$  კნ/მ<sup>2</sup>.

გამოცდილებით დადგენილია, რომ სიმტკიცის მარაგის კოეფიციენტი  $k=2,25$ , ხოლო მდგომარეობის მარაგისა –  $k = 2$  (ნორმატიულ დატვირთვასთან ფარდობით).

1967 წ. გამოჩნდა ამ სისტემის სტრუქტურები დამზადებული ფოლადისაგან.

„ტრიოდეტიკის“ ავტორები თვლიან, რომ სისტემა მოგვცემს შესაძლებლობას გადავხუროთ მალეები 450 მ-მდე შიგა საყრდენის გარეშე.

სისტემა უნივერსალურია და მისი გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის ნაგებობებისათვის. აშენებული ნაგებობებიდან ყველაზე აღსანიშნავია:


- ნიდერლანდების საგამოფენო პავილიონი „ექსპო-67“. შენობა (ზომით გეგმაში 74X21 მ) გადაწყვეტილია მთლიანად (კედლების ჩათვლით) „ტრიოდეტიკის“ ფოლადალუმინის ვარიანტში.
- სტადიონის კონსოლურკოჭოვანი ტიპის ტრიბუნა (ზომით 80X90მ).
- საწყობის უფრო მრავალმალისანი გადახურვა 80X90 მ ზომის მალეებით ავსტრიაში.

- პარაბოლური რადიოანტენები აშშ-ში.
- გუმბათები აშშ-სა და კანადაში.

1962 წ, სივრცითი კონსტრუქციების დარგში ლონდონის საერთაშორისო კონფერენციაზე სისტემა „ტრიოდეტიკი“ აღიარებულ იქნა ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ სისტემად.

ინგლისურ სისტემას „სპეის-დეკს“ და მის ნაირსახეობას „ნენკსისტემ“-ს საფუძვლად უდევს ქარხნული წესით დამზადებული პირამიდალური ელემენტი. პირამიდის კვადრატული ფუძე მზადდება კუთხოვანი პროფილებისაგან და მეზობელი პირამიდების ფუძეებთან შეერთებულია ჭანჭიკებით. პირამიდების წვეროებზე არსებული მილოვანი მუფტები მზადდებიან დიდი სიმტკიცის ფოლადისაგან.

მონტაჟი შეიძლება მოხდეს მთლიანად, ცალკეული სამწახნაგა წამწეებით ან ორი სივრცული წამწეებისაგან შედგენილი ბლოკებით (ნახ. 1.6).



ნახ.1.6. სტრუქტურული კონსტრუქციის მონტაჟი სივრცითი წამწეებით.


„სპეის-დეკის“ სისტემა, დაყრდნობილი კონტურზე, იძლევა საშუალებას გადავხუროთ ფართი ზომით 38X38 მ, ხოლო გადახურვის ერთი მიმართულებით მუშაობისას (კოჭოვანი სქემა) 122 მ-მდე. ჩვეულებრივ მოდული ტოლია 1,2 მ, სიმაღლე – 0,85 მ.

„სპეის-დეკის“ სისტემით გადახურული ნაგებობებიდან საინტერესოა:

- ფარმაცევტული ფაბრიკის კორპუსის სახურავი ინდოეთში.
- უნუვესიტეტის მუზეუმის დარბაზის გადახურვა(ინგლისი)
- უნივერსალური მაღაზიის დახურვა და გადახურვა ინგლისში, მალით 18 მ.

„ნენკ-სისტემას“ მოდული 1,2 მ აქვს 6 მ სიმაღლე და შექმნილია სპეციალურად სართულშორისი გადახურვებისათვის დასაშვები მალაია 12 მ. 2,15 კნ/მ<sup>2</sup> დატვირთვისათვის და 27 მ–0,55 კნ/მ<sup>2</sup> დატვირთვისას.

საფრანგეთში ფართოდ გამოიყენება SDC-ის სისტემა, რომელიც ეკუთვნის ინჟინერ დიუ-შატოს. აქ გამოიყენება ფოლადის მილოვანი ელემენტები და კვანძოვანი ფასონურები, რომლებიც შედგება ორი ნაწილისაგან ექვსი ნახევარწრიული ნახვრეტით. ეს ფასონურები ერთდება შედუღებით (ნახ.1.7). ხდება ნახვრეტებში შემავალი მილოვანი ელემენტების შემოდუღება.




ნახ.1.7. SDC-ის სისტემის კვანძი და საკვანძო ელემენტები.

ცალკეული ელემენტებისაგან სტრუქტურების აწყობის გარდა საზღვარგარეთ სტრუქტურის მონტაჟი ხორციელდება ცალკეული სივრცული ბლოკებისაგან ან სამშენებლო მოედანზე ერთმანეთთან ჭანჭიკებით სივრცითად შეკრული წამწეებისაგან.

ბურჟეს ლაბორატორიაში დამუშავებული იქნა „ტიუბაკორდის“ სისტემა. სისტემა აწყობილია ბრტყელი მილოვანი წამწეებისაგან (ნახ.1.8), კვანძებში სიბრტყისადმი 45 კუთხით, დუღდება ორი ფასონურა სხვა მიმართულების სარტყელები და ირიბანები წარმოადგენს მილოვან ელემენტებს, ბოლოებში მიდუღებული ტესებრი ფასონურებით (ელემენტები B და C).

$\eta = 0.77$  - სტრუქტურული კონსტრუქციის გრების გამათვალისწინებელი კოეფიციენტი ( $\eta = 1.0$  როდესაც გრებს ადგილი არა აქვს);

$\phi_m = \sum \phi_i A_i / \sum A_i$  - ზედა სარტყლის შეკუმშული ღეროების გასაშუალებული გრძივი ღუნვის კოეფიციენტი, აქ  $A_i$  - i-ური ღეროს განივი კვეთის ფართობი, ხოლო  $\phi_i$  - i-ური ღეროს გრძივი ღუნვის კოეფიციენტი;

E - მასალის დრეკადობის მოდული.

ზემოთ მოყვანილი სტრუქტურული კონსტრუქციის მინიმალური სიმაღლის განსაზღვრის ფორმულაში გათვალისწინებულია ზედა და ქვედა სარტყლების მდგრადობისა და სიმტკიცის პირობები, კერძოდ:

$$\left. \begin{aligned} N_{\min}^{b,b} &\leq \phi \cdot R_y \cdot A_{\min} \\ N_{\min}^{d3,b} &\leq R_y \cdot A_{\min} \end{aligned} \right\} \quad (2.15)$$

ასევე, გათვალისწინებულია კონსტრუქციის ზღვრული ჩაღუნვები:

$$f_{\max} \leq [f] \quad (2.16)$$

ზემოთ მოყვანილი სტრუქტურული კონსტრუქციის (2.14) ფორმულით განსაზღვრული მინიმალური სიმაღლის მნიშვნელობის შეცვლა პროექტირებისას არ არის რეკომდირებული, რადგანაც თუ მისი მნიშვნელობა მიღებული იქნება  $h_{\min}$ -ზე ნაკლები, მაშინ კონსტრუქციის სარტყლებში იქნება დაუძაბავობა და მათი განივი კვეთების დანიშვნა უნდა ჩატარდეს მეორე ზღვრული მდგომარეობის პირობებით ( $f_{\max} \leq [f]$ ),

ხოლო, თუ მისი მნიშვნელობა მიღებული იქნება  $h_{\min}$ -ზე მეტი, მაშინ კონსტრუქციის ჩაღუნვები დასაშვებზე ნაკლები იქნება, ანუ პირველი ზღვრული მდგომარეობა დადგება მეორეზე ადრე. ასეთ შემთხვევაში კონსტრუქციის ელემენტების ზიდვის უნარის უზრუნველყოფისას შეუძლებელია სარტყლების დრეკადპლასტიკურ სტადიაში მუშაობისას მათი ზიდვის უნარის რეზერვების გამოყენება.

## თავი 3. შემოთავაზებული კონსტრუქციის გაანგარიშების საკითხები

### 3.1. კონსტრუქციის ელემენტის სიხისტის მატრიცა

სიხისტის მატრიცით განისაზღვრება კვანძურ გადაადგილებებსა და კვანძებში შემავალ ელემენტებში აღძრულ ძალებს შორის კავშირი, ანუ განისაზღვრება მისი დრეკადი თვისებები. ყოველი კვანძის გადაადგილებისთვის სიხისტის მატრიცაში შეიყვანება შესაბამისი კვანძური ძალა. ამ ძალების ერთობლიობას ახასიათებს კონსტრუქციის მომიჯნავე ელემენტების გავლენა განსახილველ ელემენტზე.

ელემენტის კვანძურ ძალებსა და კვანძების გადაადგილებებს შორის არსებობს შემდეგი კავშირი:

$$\vec{N} = r\vec{\bar{w}}, \quad (3.1)$$


სადაც  $\vec{N}$  - კვანძების ძალების ვექტორთა სვეტი;  $r$  - ღეროს სიხისტის მატრიცა;  $\vec{\bar{w}}$  - კვანძური გადაადგილებების ვექტორთა სვეტი.

არადეფორმირებული სქემის მიხედვით ღეროს კვანძებში სახსრული შეერთებისას სიხისტის მატრიცა ჩაიწერება შემდეგნაირად (როდესაც ღერო  $ab$  ორიენტირებულია კოორდინატების უძრავი მართკუთხა სისტემის მიმართ (ნახ.3.1):

$$\vec{N}_{ab} = \begin{Bmatrix} \vec{N}_a \\ \vec{N}_b \end{Bmatrix} = \begin{Bmatrix} r_{aa} & r_{ab} \\ r_{ba} & r_{bb} \end{Bmatrix} \begin{Bmatrix} \vec{\bar{w}}_a \\ \vec{\bar{w}}_b \end{Bmatrix}, \quad (3.2)$$

სადაც  $\vec{N}_a = \begin{Bmatrix} N_{ax} \\ N_{ay} \\ N_{az} \end{Bmatrix}$ ,  $\vec{N}_b = \begin{Bmatrix} N_{bx} \\ N_{by} \\ N_{bz} \end{Bmatrix}$  - განზოგადებული ძალების ვექტორები  $a$  და

$b$  კვანძებში საკოორდინატო ღერძების მიმართულებით;



ნახ. 3.1. არადეფორმირებული სქემა ღეროს სიხისტის მატრიცის ასაგებად

$$\bar{\omega}_a = \begin{Bmatrix} u_a \\ v_a \\ \omega_a \end{Bmatrix}, \quad \bar{\omega}_b = \begin{Bmatrix} u_b \\ v_b \\ \omega_b \end{Bmatrix} \quad - \quad \text{განზოგადებული } a \text{ და } b \text{ კვანძების}$$

გადაადგილებების ვექტორები საკოორდინატო ღერძების მიმართულებით;  $r_{aa}$ ,  $r_{ab}$  და ა.შ. - რეაქციის კვადრატული ქვემატრიცები, განზომილებით  $3 \times 3$ . ქვემატრიცის პირველი ინდექსი აღნიშნავს კვანძის ნომერს, ხოლო მეორე ინდექსი კვანძის გადაადგილებას.

წრფივი ამოცანის შემთხვევაში:

$$r_{ab} = r_{ba} = \begin{Bmatrix} r_{xx} & r_{xy} & r_{xz} \\ r_{yx} & r_{yy} & r_{yz} \\ r_{zx} & r_{zy} & r_{zz} \end{Bmatrix} = \frac{D_n}{\ell} \begin{Bmatrix} n_x^2 & n_x n_y & n_x n_z \\ n_y n_x & n_y^2 & n_y n_z \\ n_z n_x & n_z n_y & n_z^2 \end{Bmatrix} = \frac{D_n}{\ell} K \quad (3.3)$$

$$r_{aa} = r_{bb} = -r_{ab} \quad (3.4)$$

სადაც  $n_x$ ,  $n_y$ ,  $n_z$  - ღეროს მიმართული კოსინუსები;  $\ell$  - ღეროს სიგრძე;  $D_n$  - ღეროს სიხისტე გრძივი ძალის მოქმედებისას?

მუშაობის დრეკად სტადიაში ღეროზე ძალის ცენტრალური მოქმედებისას მისი სიხისტე ტოლია  $D_n = EA$ .



### 3.2. კონსტრუქციის სიხისტის ზოგადი მატრიცა

სიხისტის ზოგადი მატრიცა გამოიხატება ცალკეული ელემენტების სიხისტის მატრიცით და ადგენს კავშირს კონსტრუქციის კვანძის გადაადგილებებსა და მთლიანობაში გარე დატვირთვას შორის.

დატვირთვა კონსტრუქციაზე მოდებულია საკვანძო წერტილებში:

$$\vec{F} = \begin{Bmatrix} \vec{F}_1 \\ \vec{F}_1 \\ \vdots \\ \vec{F}_k \end{Bmatrix}$$

ყოველ ძალას  $\vec{F}_i$  გააჩნია იმდენივე კომპონენტი, რამდენი განსახილველი ელემენტის რეაქციებია. კონსტრუქციის კვანძების სახსრული შეერთებისას იგი გამოისახება შემდეგი მატრიცის სახით:

$$\vec{F}_i = \begin{Bmatrix} F_x \\ F_y \\ F_z \end{Bmatrix}_i$$

კვანძის საწყის წერტილში  $i$  წონასწორობის პირობების დასაკმაყოფილებლად ყოველი კვანძის  $\vec{F}_i$  კომპონენტი უნდა გაუტოლდეს კვანძში შემავალი ელემენტებში აღძრულ ძალოვანი კომპონენტების ჯამს.

კონსტრუქციის კვანძების  $k$  რაოდენობისას

$$\vec{F}_i = -\sum_{j=1}^k [\vec{N}_i]_{ij} \quad (3.5)$$

განტოლების (3.5) მარჯვენა ნაწილში, ნულისგან განსხვავებულ ძალებს იძლევა მხოლოდ ის ელემენტები, რომლებიც შედიან  $i$  წერტილში.

(3.2)-ის თანახმად ძალების განზოგადოებული ვექტორი  $i$  კვანძში შემავალი ელემენტისთვის კვანძების ნომრებით  $ij$  ტოლია:

$$[\vec{N}_i]_{ij} = \begin{bmatrix} r_{ii} & r_{ij} \end{bmatrix}_{ij} \begin{Bmatrix} \vec{\omega}_i \\ \vec{\omega}_j \end{Bmatrix} \quad (3.6)$$

(3.6) გათვალისწინებით (3.5) ჩაიწერება შემდეგი ფორმით:

$$\vec{F}_i = -\sum_{j=1}^k [r_{ij} \ r_{ij}]_{ij} \left\| \begin{matrix} \vec{\omega}_i \\ \vec{\omega}_j \end{matrix} \right\|. \quad (3.7)$$

აქ ჯამში შედგეს იძლევა მხოლოდ ელემენტები, რომლებიც შედიან  $i$  კვანძში.

კოორდინატების საერთო სისტემაში, ზემოთ მოყვანილი განტოლებების გაერთიანებით, მიიღება გადაადგილებათა მეთოდის წონასწორობის მატრიცული განტოლება

$$R\vec{\omega} = -\vec{F}, \quad (3.8)$$

სადაც  $R$  - მთლიანი კონსტრუქციის სიხისტის ზოგადი მატრიცა:

$$R = \left\| \begin{matrix} r_{11} & r_{12} & \dots & r_{1k} \\ r_{21} & r_{22} & \dots & r_{2k} \\ \dots & \dots & \dots & \dots \\ r_{k1} & r_{k2} & \dots & r_{kk} \end{matrix} \right\|. \quad (3.9)$$

(3.9) მატრიცის ელემენტები წარმოადგენენ კვადრატულ ქვემატრიცებს და (დიაგონალურების გამოკლებით) განისაზღვრება (3.3) დამოკიდებულებით. (3.4)-ის გათვალისწინებით დიაგონალური ელემენტები განისაზღვრება დამოკიდებულებით

$$r_{ii} = -\sum_{j=1}^k r_{ij}. \quad (3.10)$$

(3.8) წონასწორობის განტოლებათა სისტემის ამოხსნა შესაძლებელია მხოლოდ კონსტრუქციაზე საჭირო რაოდენობის ბმების მოდებით, რომლებიც გამორიცხავენ მის გადაადგილებას სივრცეში. ამ შემთხვევაში ამონახსნი შეიძლება მიღებულ იქნას შესაბამისი სტრიქონებისა და მატრიცის სვეტების ამოშლის გზით.

კონსტრუქციის ელემენტებში ძალები განისაზღვრება (3.8) წონასწორობის განტოლებათა სისტემიდან გადაადგილებების სიდიდეების მიხედვით, შემდეგი ფორმულით:

$$N_{ab} = \frac{D_n}{\ell} [n_x \ n_y \ n_z] [\vec{\omega}_a - \vec{\omega}_b]. \quad (3.11)$$

### 3.3. გაანგარიშება ჩვეულებრივ (კლიმატურ) ტემპერატურულ ზემოქმედებაზე

უძრავი საყრდენებიანი სტრუქტურული კონსტრუქციების ელემენტების კლიმატური ტემპერატურული ზემოქმედებით თანაბარი და არათანაბარი გაცხელებისას (საყრდენების ნებისმიერი ვარიანტით მოწყობისას) ღეროებში წარმოშობა ღერძული ძალები.

ტემპერატურის ზემოქმედებისას  $ab$  ელემენტის კვანძში აღძრულ ძალასა და კვანძის გადაადგილებას შორის (იხ. ნახ.3.1) არსებობს შემდეგი კავშირი:

$$\vec{N}_{ab} = r_{ab} \vec{\omega}_{ab} + [\vec{N}_t]_{ab}, \quad (3.12)$$

სადაც  $r_{ab}$  - კონსტრუქციის ელემენტის სიხისტის მატრიცა;  $[\vec{N}_t]_{ab}$  - ძალები კვანძებში  $a$  და  $b$ , რომლებიც წარმოიშვება ღეროს გახურებისას მისი ბოლოების გადაადგილების გარეშე:

$$[\vec{N}_t]_{ab} = \begin{Bmatrix} \vec{N}_{ta} \\ \vec{N}_{tb} \end{Bmatrix}. \quad (3.13)$$

ყოველ  $\vec{N}_t$  ძალას გააჩნია იმდენივე კომპონენტი, რამდენიც ელემენტის განსახილველი რეაქციებია, რომელიც წრფივი გაფართოების  $\alpha$  კოეფიციენტის დროს განისაზღვრება შემდეგი მატრიცული გამოსახულებით:

$$\vec{N}_{ta} = \begin{Bmatrix} N_{tx} \\ N_{ty} \\ N_{tz} \end{Bmatrix} = D_n \alpha t \begin{Bmatrix} n_x \\ n_y \\ n_z \end{Bmatrix}. \quad (3.14)$$


თუ კვანძს შეიცავს რამდენიმე ღეროს, მაშინ მათში რეაქციები განისაზღვრება კვანძში შემავალი ღეროების ძალების დაჯამებით. კონსტრუქციის  $k$  რაოდენობისას კვანძების შემთხვევაში:

$$[\vec{N}_t]_a = \sum_{j=1}^k [\vec{N}_{ta}]_{aj}. \quad (3.15)$$


აქ ჯამში ძალის სიდიდეს მოგვცემენ ელემენტები, რომლებიც შეიცავენ  $a$  წერტილს. ყველა ასეთი განტოლების გაერთიანებითა და კვანძების წონასწორობის პირობების გათვალისწინებით, ვღებულობთ ტემპერატურული ზემოქმედებისას გადაადგილებათა მეთოდის წონასწორობის მატრიცულ განტოლებას:

$$R\bar{w} = \bar{N}_t, \quad (3.16)$$

მაგალითის სახით ნახ.3.2-ზე წარმოდგენილია შიდა ძალის განაწილება სისტემის სტრუქტურულ ფილაში, რომელიც დაპროექტებულია 3000-4000 პა (300-400 კგძ/მ<sup>2</sup>) დატვირთვის ქვეშ, გამოწვეული ტემპერატურის ცვალებადობით კონსოლების სფეროსა და სტრუქტურის შიდა ნაწილს შორის, რომელიც მოქცეულია სვეტებს შორის. ფილის დაყრდნობა სვეტებზე - სახსრულ-მომრავია, სტრუქტურის შიდა ნაწილის ტემპერატურა 30°C – კონსოლების ტემპერატურაზე მაღალია.



1  
Мозаика N  
Единицы измерения - т



ნახ.3.2. გრძივი ძალების განაწილება სტრუქტურული გადახურვის ელემენტებში (ღეროებში).

### 3.4. შემოთავაზებული ახალი ტიპის კონსტრუქციის ტემპერატურულ ზემოქმედებაზე გაანგარიშება

შესავალი

როგორც ცნობილია რეგულარული (სტრუქტურული) კონსტრუქციები ჩვეულებრივ შედგენილია სხვადასხვა განივი კვეთისა და სიგრძის (რამოდენიმე სტანდარტული ზომის) მქონე ღეროებისაგან, ამიტომ ცალკეული ღეროების გაცხელებისაგან მათი ხაზოვანი გაფართოვება და შესაბამისად მასალის დრეკადობის მოდულის შემცირება სხვადასხვაა. სტატიკურად რკვევადი კონსტრუქციებისთვის აღნიშნულ გარემოებას არ მივყავართ ხანძრის პროცესში ძალოვანი ფაქტორების (ძაღვების) განაწილების ხასიათის ცვლილებასთან, ამიტომ მათი ცეცხლგამძლეობის ზღვარი (ცეცხლგამძლეობის თვალსაზრისით) განისაზღვრება კონსტრუქციის შედარებით ერთერთ სუსტ (ცეცხლმედეგობის მიხედვით) ელემენტში კრიტიკული ტემპერატურის მიღწევისას.

სტრუქტურულ კონსტრუქციებში მათი სტატიკური ურკვევობის მაღალი ხარისხის გამო ხანძრისას ელემენტების არათანაბარი გაცხელება იწვევს მათში ძაღვების მნიშვნელოვან გადანაწილებას, ამასთან მთელ რიგ ღეროებში პლასტიკური დეფორმაციის განვითარება ყოველთვის (ზოგადად) არ განსაზღვრავს კონსტრუქციის ზღვრულ მდგომარეობას.

ღეროების შემდგომი გაცხელებისას პლასტიკური დეფორმაციის გაზრდასთან ერთად შესაძლებელია ძაღვების თანდათანობითი შემცირება მეზობელ ელემენტებზე ძაღვების გარკვეული ნაწილის გადაცემის ხარჯზე.

ხანძრისას კონსტრუქციის ელემენტებში პლასტიკური დეფორმაციის განვითარება და მუშაობის კრიტიკულზედა სტადია (მისი საერთო ზიდვისუნარის შენარჩუნება) შესაძლებელია მხოლოდ იმ ელემენტებში, რომელთა მუშაობიდან გამორიცხვა არ გამოიწვევს სისტემის გეომეტრიულ ცვლადობას.

სტრუქტურული კონსტრუქციის გაანგარიშებისას გამოყენებულია გადაადგილების მეთოდი არაწვრივობის გათვალისწინებით.

განგარიშებაში გავითვალისწინული არის კონსტრუქციის დატვირთვისა და გაცხელების თანმიმდევრობა, ასევე, კონსტრუქციის ელემენტების გაცხელება განხორციელებულია ხანძრის დროში განვითარების საფეხურებრივი მეთოდით.

სტრუქტურული კონსტრუქციის განგარიშებისა აგრეთვე წარმოებს ჩვეულებრივ (კლიმატურ) ტემპერატურულ ზემოქმედებებზე. განგარიშების აუცილებლობა გამოწვეულია შემოთავაზებული კონსტრუქციის საყრდენი კვანძების კონსტრუქციულ გადაწყვეტაზე და დიდი ზომის მალეების შემთხვევაში.

სტრუქტურული კონსტრუქციის განგარიშება ცეცხლგამძლეობაზე რეკომენდირებულია კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით.

### 3.4.1. ამაღლებული ტემპერატურის დროს გადაადგილებათა მეთოდის მატრიცული არაწრფივი განტოლების შედგენა

არაწრფივი წონასწორობის განტოლების შესადგენად წინამდებარე განგარიშებაში შემოტანილია ღეროზე  $D_{nt}$  გრძივი ძალის მოქმედებისას მყისიერი სიხისტისა და ღეროს სიხისტის მყისიერი  $R_{nt,ab}$  მატრიცის ცნებები. ინდექსები  $a$  და  $b$  მიუთითებს კვანძების ნომრებს, რომლებიც აერთიანებს ღეროებს, და განსაზღვრავს კონსტრუქციაში მათ ადგილმდებარეობას.

$D_{nt}$  და  $R_{nt, ab}$  განსაზღვრავენ ღეროს დრეკად მახასიათებლებს  $t^{\circ}C$  ტოლი ტემპერატურისა და მასში  $N$  გრძივი ზემოქმედებისას.

$R_{nt, ab}$  ღეროს სიხისტის მყისიერი მატრიცა ფიზიკური და გეომეტრიული არაწრფივის გათვალისწინებით განისაზღვრება შემდეგი გამოსახულებით

$$R_{nt,ab} = \frac{D_{nt}}{l} \begin{vmatrix} n_x^2 & n_x n_y & n_x n_z \\ n_y n_x & n_y^2 & n_y n_z \\ n_z n_x & n_z n_y & n_z^2 \end{vmatrix} + \frac{N}{l} \begin{vmatrix} 1-n_x^2 & -n_x n_y & -n_x n_z \\ -n_y n_x & 1-n_y^2 & -n_y n_z \\ -n_z n_x & -n_z n_y & 1-n_z^2 \end{vmatrix} = \frac{D_{nt}}{l} K + \frac{N}{l} (I - K) \quad 3.17$$

სადაც  $l$  - არის ღეროს სიგრძე;  $n_x, n_y, n_z$  - ღეროს მიმმართველი კოსინუსები კოორდინატების მართკუთხედ სისტემაში;  $I$  - ერთეული მატრიცა.

კონსტრუქციის a და b კვანძების შემართებელ ღეროში, რომელიც იმყოფება კვანძური დატვირთვებისა და შესაბამისად გადაადგილების ქვეშ, მაღალი ტემპერატურის პირობებში მისი (ღეროს)  $\Delta t^0 C$ -ზე გაცხელებისას საკვანძო ძალვის ნაზრდებს შორის არსებობს შემდეგი სახის დამოკიდებულება

$$\Delta \vec{N}_a = -\Delta \vec{N}_b = R_{nt, ab} (\vec{w}_b - \vec{w}_a) - \vec{R}_{\Delta t, a} - \vec{R}_{\Delta E, a}, \quad 3.18$$

სადაც  $\Delta \vec{N}_a, \Delta \vec{N}_b$  - წარმოადგენს a და b კვანძებში საკოორდინატო ღერძების მიმართულებით განზოგადებული ძალების ნაზარდების ვექტორებს;  $\vec{w}_a, \vec{w}_b$  - შესაბამისად a და b კვანძების განზოგადებული გადაადგილებების ვექტორები საკოორდინატო ღერძების მიმართულებით;  $\vec{R}_{\Delta t, a}$  - რეაქციები a კვანძში ღეროს წრფივი გაფართოებიდან მისი  $\Delta t^0 C$  გახურების დროს ბოლოების გადაადგილებების გარეშე;

$\vec{R}_{\Delta E, a}$  - რეაქციები a კვანძში მასალის დრეკადობის მოდულის ცვლილებიდან, რომლებიც წარმოიშობა ღეროში ძალვის არსებობისას ბოლოების გადაადგილების გარეშე.

$\vec{R}_{\Delta t, a}$  და  $\vec{R}_{\Delta E, a}$  მნიშვნელობები განისაზღვრება შესაბამისად ფორმულებით:

$$\vec{R}_{\Delta t, a} = D_{nt} \alpha \Delta t \vec{n}; \quad 3.19$$

$$\vec{R}_{\Delta E, a} = D_{nt} \Delta \varepsilon_{\Delta E} \vec{n}, \quad 3.20$$

სადაც  $\alpha$  - წრფივი გაფართოების კოეფიციენტია;  $\Delta \varepsilon_{\Delta E} - N$  ძალით დატვირთული ღეროს ბოლოების ფარდობითი დაახლოების ნაზარდია, რომელიც გამოწვეულია მასალის დრეკადობის მოდულის ცვლილებით;  $n$  - ღეროს მიმართველი კოსინუსების სტრიქონი.

თუ კვანძში შედის რამოდენიღე ღერო, მაშინ რეაქციები მასში (კვანძში) განისაზღვრება მომიჯნავე ღეროებში არსებული ძალების შეჯამებით.  $m$  რაოდენობის კვანძებისაგან შედგენილი კონსტრუქციის შემთხვევაში ყოველივე აღნიშნული გამოსახება ტოლობით

$$\left(\bar{R}_{\Delta t} + \bar{R}_{\Delta E}\right)_a = \sum_{j=1}^m \left(\bar{R}_{\Delta t, a} + \bar{R}_{\Delta E, a}\right)_{aj}, \quad 3.21$$

გამოსახულებაში (3.21) აიჯამება მხოლოდ  $a$  წერტილში განთავსებულ ღეროებში აღძრული რეაქციები.

სისტემის ყველა კვანძისა და ღეროსათვის (3.18) განტოლებების გაერთიანებისას ვღებულობთ მომატებული ტემპერატურების შემთხვევაში გაადგილებების მეთოდის წონასწორობის მატრიცულ განტოლებას

$$R_{nt} \bar{w} = \bar{R}_{\Delta t} + \bar{R}_{\Delta E}, \quad 3.22$$

სადაც  $R_{nt}$  - არის სიხისტის საერთო მატრიცა მთელი კონსტრუქციისათვის ხანძრის განვითარების დროის გარკვეულ მომენტში

$$R_{nt} = \begin{vmatrix} R_{nt, 11} & R_{nt, 12} & \dots & R_{nt, 1m} \\ R_{nt, 21} & R_{nt, 22} & \dots & R_{nt, 2m} \\ \dots & \dots & \dots & \dots \\ R_{nt, m1} & R_{nt, m2} & \dots & R_{nt, mm} \end{vmatrix} \quad 3.23$$

საერთო მატრიცის ელემენტები წარმოადგენს ოთხკუთხედ, ზომით  $3 \times 3$ , ქვემატრიცებს და დიაგონალურების გარდა, ღეროების გახურების ტემპერატურის მიხედვით განისაზღვრება ფორმულით (3.17). სიმეტრიული ელემენტები ერთმანეთის ტოლია. მატრიცის დიაგონალური ელემენტები განისაზღვრება დამოკიდებულებით

$$R_{nt, ii} = -i \sum_{j=1}^m R_{nt, ij}, \quad 3.24$$

ისეთი კვანძების მატრიცის ელემენტებს, რომლებიც არ არის შეერთებული ღეროებით, მიენიჭებათ მნიშვნელობა 0. კვანძების ნუმერაციის სწორი შერჩევისას მატრიცას ექნება ლენტური სტრუქტურა.

წონასწორობის განტოლებათა (3.22) სისტემის ამოხსნაში ნაკოვნის გადაადგილებების მიხედვით ელემენტებში ძალვის ნაზარდები განისაზღვრება ფორმულით

$$\Delta N_{ab} = \frac{D_{nt}}{l} \left\| n_x n_y n_z \right\| \cdot \left\| \bar{w}_b - \bar{w}_a \right\| - D_{nt} (\alpha \Delta t + \Delta \varepsilon_{\Delta E}) \quad 3.25$$



### 3.4.2. სტრუქტურული კონსტრუქციის ელემენტის (ღეროს) მყისი სიხისტის განსაზღვრა

გარკვეული ტემპერატურის ღროს  $D_m$  ღეროს მყისი სიხისტე გამოსახავს გრძივი ძალვის ნაზარდსა და ღეროს ბოლოების დაახლოებას შორის კავშირს.

გარეცენტრულად შეკუმშული ღეროს მყისი სიხისტის გამოსახულებას, მისი მუშაობის ჩათლით კრიტიკული ტემპერატურის მიღწევის შემდეგ, აქვს შემდეგი სახე

$$D_m = \frac{\Delta N_i E_{t, i-1} + N_{i-1} (E_{t, i-1} - E_{t, i})}{\Delta \varepsilon E_{t, i-1}} \quad 3.26$$

სადაც  $i$  - არის გაანგარიშების ბიჯის ნომერი;  $\Delta N_i$  და  $\Delta \varepsilon_i$  - შესაბამისად გრძივი ძალვის ნაზარდისა და ღეროს ბოლოების დაახლოების საორიენტაციო მნიშვნელობებია წრფივი გაფართოების გათვალისწინების გარეშე გაანგარიშების მოცემულ ბიჯზე.

მუშაობის დრეკად სტადიაზე  $\Delta N_i$ -ის მნიშველობა განისაზღვრება გაანგარიშების წინა ბიჯის შედეგების საფუძველზე ან იტერაციის მეთოდის გამოყენებით, მნიშვნელობა  $\Delta \varepsilon_i$  განისაზღვრება  $\Delta N_i$  და  $E_{t, i}$  მიხედვით ფორმულით (3.27), როგორც სხვაობა:

$$\Delta \varepsilon_i = \varepsilon_i (N_i, E_{t, i}) - \varepsilon_{i-1} (N_{i-1}, E_{t, i-1}) \quad 3.27$$

მუშაობის დრეკად-პლასტიკურ სტადიაზე  $\Delta N_i$  და  $\Delta \varepsilon_i$  მნიშვნელობების განსაზღვრა წარმოებს  $N(\varepsilon, E_t, \sigma_{T, i})$  დამოკიდებებულების გამოყენებით, რომლებიც მიღებულია ელექტრონულ გამომთვლელ მანქანებზე, ჩამოყალიბებულ მეთოდიკის შესაბამისად.

ცენტრულად შეკუმშული ღეროები გაანგარიშება წარმოებს გარეცენტრულად შეკუმშულის გაანგარიშების ანალოგიურად. გაანგარიშებაში გრძივი ძალების მოდების ექსცენტრისიტეტი აიღება ელემენტის კვეთის გულის ფარგლებში.

კრიტიკული ტემპერატურის მიღწევის შემდეგ ღეროების მყისი სიხისტეები იღებენ უარყოფით მნიშვნელობებს.

მუშაობის დრეკად სტადიაზე გარეცენტრულად გაჭიმული ღეროს მყისი სიხისტის გამოსახულებას აქვს შემდეგი სახე

$$D_m = \frac{E_{t,i} A l}{l + A e^2}, \quad 3.28$$

მუშაობის დრეკად-პლასტიკურ სტადიაზე გარეცენტრულად გაჭიმული ღეროების გაანგარიშება, იმის გამო, რომ მღუნავი მომენტები მათში მცირეა, წარმოებს ცენტრულად გაჭიმული ღეროების ანალოგიურად.

ცენტრულად გაჭიმულ ღეროს დრეკად-პლასტიკურ სტადიის  $i$ -ური ეტაპზე გახურება, ტემპერატურის  $\Delta t^0 C$  მომატებისას, იწვევს ძალვის სიდიდის ცვლილებას, რომელიც არ არის დამოკიდებული გაჭიმვის დეფორმაციების სიდიდეზე და ტოლია

$$\Delta N_t = (\sigma_{T,i} - \sigma_{T,i-1}) A \quad 3.29$$

სადაც  $\sigma_{T,i}$ ;  $\sigma_{T,i-1}$  - არის ფოლადის დენადობის ზღვარი ღეროს გახურების ტემპერატურის მიხედვით, შესაბამისად გაანგარიშების  $i$  და  $i-1$  ბიჯებზე, რომელიც განისაზღვრება ცხრილის მიხედვით [26]. ამ შემთხვევაში ღეროს მყისი სიხისტე მიიღება ნულის ტოლი, ხოლო მასში ძალვის შემცირება და ამ ფაქტორის ზეგავლენა კონსტრუქციის მუშაობაზე მთლიანობაში გათვალისწინებულია მასზე (ღეროს მიერთების კვანძებზე) შესაბამისი ძალების მოდებით, რომლებიც განისაზღვრება (3.27) ფორმულით.

გარეცენტრულად შეკუმშული ღეროს ბოლოების ერთმანეთთან ფარდობითი მიახლოების, გრძივი ძალის სიდიდის, მასალის გარკვეული ტემპერატურისას დრეკადობის მოდულისა და მუშაობის დრეკად სტადიაზე კვეთის გეომეტრიული მახასიათებლებს შორის დამოკიდებულება (წრფივი გაფართოების გათვალისწინების გარეშე) განისაზღვრება შემდეგი გამოსახულებით

$$\varepsilon_{n,t} = \frac{N}{E_t A} + \frac{Ne}{E_t I} \left( \frac{2f_t}{\pi} + e \right) + \frac{f_t^2 \pi^2}{4l^2} \quad 3.30$$

სადაც  $f_t = \frac{1 - \cos \frac{u}{2}}{\cos \frac{u}{2}};$   $u = \sqrt{\frac{N}{E_t I}} l$


$E_t$  - მასალის დრეკადობის მოდული  $t^0C$  ტემპერატურისას, რომელიც განისაზღვრება ცხრილების მიხედვით.

გარეცენტრულად შეკუმშული ღეროებისათვის  $N(\varepsilon, E_t, \sigma_{T,i})$  დამოკიდებულებების განსაზღვრა მათი გახურებისას იმ ტემპერატურამდე, რომელიც აღემატება კრიტიკულ მნიშვნელობებს, რეკომენდებულია განხორციელდეს ელექტრონულ გამომთვლელ მანქანებზე (ანდა არსებული კომპიუტერული ტიპური პროგრამებით), დისკრეტული მოდელით ღეროს აპროქსიმაციაზე დაფუძნებული მეთოდის გამოყენებით.

გარეცენტრულად შეკუმშული ღეროების გაანგარიშების ალგორითმი, პლასტიკური დეფორმაციების განვითარების გათვალისწინებით, აიგება შემდეგნაირად. მთლიანი ღეროს განივი კვეთი დაიყოფა უბნებად, როგორც ეს ნაჩვენებია (ნახ.3.3,ბ) და საწყის მონაცემებში მიეთითება უბნების განივი კვეთის მასივებისა და მათი სიმძიმის ცენტრიდან განაპირა ბოჭკოებამდე მანძილების სახით. უბნების რაოდენობა განივი კვეთის სიმაღლის მიხედვით შეიძლება იყოს ნებისმიერი. გრძივი ძალის მოდების ექსცენტრისიტეტები და შესაძლო საწყისი გეომეტრიული უზუსტობები მიეთითება ღეროვანი მოდელის კვანძების შესაბამისი კოორდინატებით აღწერისას.

გაანგარიშება წარმოებს ბიჯური მეთოდის გამოყენებით ღეროს ბოლოების დაახლოებებზე და გახურების ტემპერატურის ნაზრდზე წრფივი გაფართოების გათვალისწინების გარეშე. ბიჯური მეთოდის პროცედურა აგებულია ისეთნაირად, რომ გაანგარიშების თითოეულ ბიჯზე სრულდება მოდელის კვანძების დაახლოების ანალიზი თითოეული პანელის ფარგლებში. მასალის დენადობის დეფორმაციების წარმოშობისას წარმოებს

მოდელის შესაბამისი ელემენტების განივი კვეთის გადანგარიშება პლასტიკური დეფორმაციების განვითარების ზონების სიდიდის მიხედვით.



ნახ. 3.3. გარეცენტრულად შეკუმშული ღეროების გაანგარიშებისთვის გეომეტრიული მახასიათებლები სანგარიშო მოდელებისთვის.

რადგან ფოლადის დენადობის ზღვარი ტემპერატურის მომატებისას მცირდება, ხდება ძაბვის გადანაწილება პლასტიკური ზონიდან დრეკად ზონაზე, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს გაანგარიშებაში. თუ ღეროს ბოლოების დაახლოება გაანგარიშების თითოეულ ბიჯზე მითითებული იქნება თანაბარი სიდიდით, მაშინ ფარდობითი დეფორმაციები თითოეული უბნის ფარგლებში მოცემულ და წინა ბიჯებზე ახლოს იქნება ერთმანეთთან. აღნიშნულ შემთხვევაში პლასტიკური დეფორმაციების განვითარების ზონებში უბნების განივი კვეთი ჩანაცვლებულ იქნება პირობითი სიდიდეებით (რომლებსაც გააჩნია უარყოფითი მნიშვნელობა), რომლებიც გაანგარიშების  $i$ -ური ბიჯისთვის განისაზღვრება ფორმულით

$$A_i^* = \frac{(\sigma_{T,i} - \sigma_{T,i-1}) A_i}{\Delta \varepsilon_{i-1} E_{T,i}} \quad 3.31$$

სადაც  $A_i$  - არის უბნის განივი კვეთის ფართობი;  $\Delta \varepsilon_{i-1} E_{T,i}$  - ღეროს განსახილველი უბნის ფარდობითი დეფორმაცია გაანგარიშების წინა ბიჯზე.

შემდეგ განისაზღვრება  $A$  და  $I$  ღეროს დაყვანილი მნიშვნელობები თითოეული პანელის ფარგლებში, რომლებიც მონაწილეობენ მუშაობაში და ითვალისწინებენ პლასტიკური დეფორმაციების განვითარებას როგორც

ღეროს სიგრძეზე, ასევე დრეკადი ბირთვის ზომაზე, რომელიც შეესაბამება ნეიტრალური ღერძის გადაადგილების დეფორმაციებს, და ასევე უბნების დეფორმატულობის გაზრდას პლასტიკური დეფორმაციების განვითარების ზონაში ძაბვის ვარდნის ხარჯზე გახურების ტემპერატურის მომატებით და ღეროს დრეკად ნაწილზე მათი გადაანაწილებით. ამ მნიშვნელობებით ხდება მოდელის ელემენტების განივი კვეთის გადაანგარიშება წარმოებს შემდეგი ფორმულებით (სტრუქტურული კონსტრუქციის ელემენტების მასალის დრეკად-პლასტიკური მუშაობის გათვალისწინებით გაანგარიშების ანალოგიურად)

$$A_{ms} = \frac{Aa(2a - h) + 2I}{h^2} \quad 3.32$$

$$A_{mi} = \frac{A(h - 2a)(h - a) + 2I}{h^2} \quad 3.33$$

$$A_d = \frac{2Aa(h - 2a) - 2I}{h^2 \cos^3 \alpha_1} (1 + \sin^3 \alpha_1) \quad 3.34$$

$$A_i = \frac{A_d A I c}{A_d (I + e^2 A) h \sin^3 \alpha_3 \operatorname{tg} \alpha_2 - A I c \cos^3 \alpha_3} \quad 3.35$$

$$A_l = \frac{A_d A c}{A_d (I + e^2 A) h \sin^2 \alpha_2 \operatorname{tg} \alpha_3 - A I c \cos^3 \alpha_2} \quad 3.36$$

სადაც-  $A_{ms}$ ,  $A_{mi}$ ,  $A_d$ ,  $A_s$ ,  $A_i$  შესაბამისად ზედა და ქვედა სარტყლების, დიაგონალებისა და განაპირა ღეროების განივი კვეთებია. მოდელის ელემენტების განივი კვეთის გადაანგარიშება წარმოებს შესაბამისად თითოეულ ბიჯზე.

ალგორითმს შეუძლია უზრუნველყოს ღეროს გაანგარიშება დატვირთვისა და გახურების ერთობლივ მოქმედების დროს ნებისმიერ თანაფარდობაში და იძლევა მისი მუშაობის გამოკვლევის საშუალებას, როგორც კრიტიკული ტემპერატურის მიღწევამდე, ასევე მის შემდეგაც.

სტრუქტურული კონსტრუქციების გაანგარიშება ცეცხლმედეგობაზე წარმოებს შემდეგი თანამიმდევრობით:

1) ხანძრის დროს სისტემის დატვირთვა ბუნებრივი (ნორმალური) ტემპერატურიდან მის (დატვირთვის) საანგარიშო მნიშვნელობის მიღწევამდე;

2) ხანძრის პირობების მიხედვით სისტემის ელემენტების გაცხელება (გახურება) მასში ზღვრული მდგომარეობის დადგომამდე.

ტემპერატურულ ზემოქმედებებზე გაანგარიშების განხორციელება წარმოებს 2-3 ეტაპად თანამიმდევრული მიახლოების მეთოდით. თითოეულ ეტაპზე გაანგარიშება წარმოებს გახურების ბიჯური მეთოდის გამოყენებით ცვალადი სისტემის წარმოქმნამდე. ხანძრის განვითარების პროცესი მიეთითება დროის მცირე შუალედებით, ღეროების გახურების ტემპერატურა განისაზღვრება სტანდარტული ხანძრის პირობების მიხედვით გარემოს ერთგვაროვანი ტემპერატურული ველის შემთხვევისათვის. იმ შემთხვევაში თუ ხანძრის პირობებისთვის არსებობს არაერთგვაროვანი ტემპერატურული ველის რეალური მონაცემები, მაშინ გაანგარიშებაში რეკომენდებულია ღეროს (კონსტრუქციაში მათი განლაგების მიხედვით) გახურების არათანაბრობის გათვალისწინება.

თითოეული ბიჯი მოიცავს: ღეროების გახურების ტემპერატურის განსაზღვრას; ღეროების მყისი სიხისტის განსაზღვრას მათში მოქმედი ძალვისა და მოცემული ტემპერატურის დროს ფოლადის მექანიკური მახასიათებლების მიხედვით; კანონიკური განტოლებების სისტემების ჩამოყალიბებასა და ამოხსნას (გადაწყვეტას) ღეროებს შორის ტემპერატურის გადანაწილების მიღებული პირობებისათვის; ღეროებში კვანძებისა და ძალვის გადაადგილების განსაზღვრას და კვანძების წონასწორობის შემოწმებას.

ზღვრული მდგომარეობის დადგომის კრიტერიუმს წარმოადგენს, დროის მცირე შუალედში, ჩაღუნვების მკვეთრი მატება.

გაანგარიშების თითოეულ ბიჯზე (პირველ მიახლოებისას) გარეცენტრულად შეკუმშული ღეროების მყისი სიხისტეები, რომლებიც განისაზღვრება ფორმულით (3.26) ამ ღეროებში  $\Delta N$  მიახლოებული მნიშვნელობების მიხედვით, რომლებიც მიღებულია წინა ბიჯის შედეგებით, ხოლო გაჭიმულები - ფორმულით (3.28). პლასტიკური დეფორმაციების განვითარების მომენტიდან ღეროების მყისი სიხისტეები

უტოლდება ნულს. მოცემულ ეტაპზე დრეკად-პლასტიკურ სტადიაზე გათვალისწინებულია ძალვის შემცირება მხოლოდ გაჭიმულ ღეროებში. ეს ხორციელდება შესაბამისი ძალების მოდებით, რომლებიც განისაზღვრება ფორმულით (3.27), კონსტრუქციის ღეროების მიერთების კვანძებთან.

გაანგარიშების შედეგად ვღებულობთ კვანძების გადაადგილებას, ღეროებში გახურების ტემპერატურასა და ძალვას ხანძრის განვითარების მთელ პროცესისას. ამ მონაცემებით გარეცენტრულად შეკუმშული ღეროებისათვის, რომლებიც მუშაობს დრეკად-პლასტიკურ სტადიაში, განისაზღვრება დამოკიდებულებები  $N(\varepsilon, E_t, \sigma_{Ti})$  ელექტრონული გამომთვლელი მანქანების გამოყენებით სათანადო მეთოდის შესაბამისად. გაანგარიშების შემდგომი ეტაპისთვის მიღებული დამოკიდებულებები მიეთითება საწყისი მონაცემების სახით. შემდეგ ეტაპზე გარეცენტრულად შეკუმშული მყისი სიხისტეები განისაზღვრება ფორმულით (3.26), რომელშიც შეიტანება ღეროებში ძალვის დაზუსტებული მნიშვნელობები დრეკად სტადიაზე და დრეკად-პლასტიკურ სტადიაში მომუშავე ღეროებისათვისათვის მიღებული  $N(\varepsilon, E_t, \sigma_{Ti})$  დამოკიდებულებების შედეგები.

საპირისპირო (შექცეული) ნიშნის დეფორმაციების წარმოშობისას ღეროები მიიჩნევა დრეკად სტადიაში მომუშავედ.

გაანგარიშება მთავრდება მოცემულ და წინა ეტაპებზე მიღებული შედეგების დამთხვევამდე (გატოლებამდე).

### 3.5. შემოთავაზებული ახალი ტიპის წინასწარდაძაბული სტრუქტურული კონსტრუქციის გაანგარიშების იდეა

ნებისმიერი კონსტრუქციული სისტემა შეიძლება წარმოვადგინოთ სასრული ელემენტების სახით, რომელშიც იგულისხმება კვანძები და მათი შემაერთებელი ელემენტები (ღეროები ან სიბრტყეები, აქედან გამომდინარე სივრცითი ელემენტებიც). არა აქვს მნიშვნელობა კონსტრუქციის მრუდხაზოვნებას, იგი შეიძლება დაიყოს ისეთი ზომის ელემენტებად, რომ შეიძლებოდეს მისი გაწრფივება. შემდეგ თითოეული ელემენტისთვის დგება წონასწორობის განტოლებები სიბრტყეზე (თუ ბრტყელი ამოცანა გვაქვს) და სივრცეში (სივრცითი ამოცანის დროს). ამის შედეგად მიიღება წრფივ განტოლებათა სისტემები, რომელთა რაოდენობაც საკმაოდ დიდია (დამოკიდებულია სისტემის კვანძებისა და ელემენტების რაოდენობაზე) და მათ ამოსახსნელად გამოიყენება ელექტრო გამომთვლელი მანქანები. არსებობს წრფივ განტოლებათა ამოხსნის მრავალი მეთოდი, რომლებსაც ვიყენებთ როგორც ხელით ასევე ეგმ-ზე.

განხილება სიხისტის მატრიცა, სადაც მატრიცის სტრიქონების რაოდენობა გამოსახავს სტრუქტურის კვანძების რაოდენობას, ხოლო მატრიცის სვეტების რაოდენობა გამოსახავს სტრუქტურის ელემენტების რაოდენობას. ჩემს მიერ გაანგარიშებულ რიცხვით მაგალითში განხილულია სტრუქტურა მალით 39 მ, რომლის კვანძების რაოდენობაა 397 ც, ხოლო ელემენტების - 1409 ც, და ამ მატრიცის წარმოდგენა აქ შეუძლებელია.

3.1 და 3.2 პარაგრაფებში აღწერილი მეთოდით შემოთავაზებული კონსტრუქციის ანგარიშისას იკარგება წარმოდგენილი საანგარიშო მოდელის და კონსტრუქციის მუშაობის ეფექტი, რადგან თითქმის შეუძლებელია ამ გაანგარიშების მეთოდით სტრუქტურული კონსტრუქციის მოქნილ ელემენტებში (ბაგირებში) წინასწარდაძაბვის ძალის განსაზღვრა.

ზემოთ აღნიშნული გაანგარიშების მეთოდით შეგვიძლია მხოლოდ ბაგირში აღძრული ძაბვის სიდიდის განსაზღვრა, რომელიც გამოწვეულია



მუდმივი პლუს დროებითი და სხვა მოსალოდნელი დატვირთვებისაგან, ხოლო თვითდამაბვის ძალის სიდიდე, რომელიც იწვევს სტრუქტურული კონსტრუქციის წინასწარდამაბვას და ძაბვების რეგულირებას მის ღეროვან ელემენტებში, ისევე უცნობად რჩება.

განგარიშების ახალი იდეა მდგომარეობს შემდეგში:

როგორც ვიცით ნებისმიერ კონსტრუქციას აქვს დასაშვები და ზღვრული ჩაღუნვა, რომელიც ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$f_{max} \leq [f] \quad 3.37$$

სადაც  $f_{max}$  არის კონსტრუქციის დასაშვები მაქსიმალური ჩაღუნვა, ხოლო  $[f]$  არის ზღვრული ჩაღუნვა და სამშენებლო ნორმებისა და წესების თანახმად განისაზღვრება კონკრეტული კონსტრუქციისთვის, დამოკიდებულია ძირითადად მის მალზე.

ამოცანა დავისახოთ ასე: ვიპოვოთ, სტრუქტურული კონსტრუქციის საკოჭში (ბაგირში) აღძრული ის  $H$  ძალა, რომელიც წარმოდგენილ სტრუქტურულ სისტემას შეაფრებს (აღუნავს), ანუ სისტემის ძალის შუაში მდებარე კვანძებს გადაადგილებს  $Z$  ღერძის მიმართულებით  $f_{max}$  სიდიდით. ეს ძალა შედგება ორი კომპონენტისგან:

$$H = P + T \quad 3.38$$

$P$ -არის ბაგირში აღძრული ძალა, გამოწვეული საკუთარი წონისაგან, დროებითი და სხვა მოსალოდნელი დატვირთვებისაგან.

$T$ - არის თვითდამაბვის ძალა, რომელიც ბაგირში აღიძვრება ხელოვნურად და იწვევს სისტემის დამაბვას და შეაფრებას (აღუნვას)  $f_{max}$  სიდიდით.

აქ, როგორც ზევით პარაგრაფებში აღვნიშნეთ, სისტემის ნებისმიერი კვანძის გადაადგილება შეიძლება გამოვსახოთ შემდეგნაირად:

$$\vec{U} = \begin{pmatrix} \vec{u}_1 \\ \vec{u}_2 \\ \vec{u}_3 \\ \vdots \\ \vec{u}_n \end{pmatrix} \quad 3.39$$

სადაც

$$\vec{u}_j = \begin{pmatrix} u_j \\ v_j \\ w_j \end{pmatrix} \quad 3.40$$

$\vec{u}_j$  არის ნებისმიერი  $j$ -ური კვანძის გადაადგილების სიდიდე, შესაბამისად  $X, Y$  და  $Z$  მიმართულებებზე. აქ  $X$  და  $Y$  ღერძების მიმართულებებზე გადაადგილება თავდაპირველად უგულებელვყოთ მათი სიმცირის გამო.

აქედან გამომდინარე ნებისმიერი წერტილის გადაადგილება შეიძლება წარმოვადგინოთ ვექტორული ფუნქციის სახით:

$$\vec{f}(x, y, z) = \begin{pmatrix} u(x, y, z) \\ v(x, y, z) \\ w(x, y, z) \end{pmatrix} \quad 3.41$$

აქვე აღვნიშნოთ, რომ  $T$  თვითდამაბვის ძალის განსაზღვრა საკმაო სირთულეებთანაა დაკავშირებული და ისიც თავის მხრივ შედგება ორი კომპონენტისაგან:

$$T = T' + \sigma \quad 3.42$$

სადაც  $T'$  არის სისტემის მოკუმშვისათვის (დამაბვისათვის) დასაშვები ძალის სიდიდე, ძაბვების დანაკარგების გარეშე.

$\sigma$  - არის წინასწარ დამაბვისას გამოწვეული ძაბვების დანაკარგები, რომელიც დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე და შედგება მრავალი კომპონენტისგან, რომელსაც ქვემოთ მოგახსენებთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ შემოთავაზებული სტრუქტურული კონსტრუქციის გაანგარიშება პირველ ეტაპზე წარმოებს ზემოთ აღწერილი მეთოდით, ანუ პირველ ეტაპზე უნდა ჩამოვყალიბოთ კონსტრუქციაში შემავალი ელემენტების სიხისტის მატრიცები, რომელნიც ეთანადებიან გლობალურ თავისუფლების ხარისხებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ელემენტის სიხისტის მატრიცები მაშინ არიან დამოკიდებულნი მიმმართველ კოსინუსებზე, როდესაც ელემენტების

ლოკალური ღერძების მიმართულებები არ ემთხვევა გლობალური ღერძების მიმართულებებს. ამ შემთხვევაში ლოკალური სიხისტის მატრიცები უნდა გარდავსახოთ გლობალურში.

კონსტრუქციის საერთო სიხისტის მატრიცა აიგება ცალკეული ელემენტების სიხისტის მატრიცების საშუალებით, სიხისტეების პირდაპირი აჯამვის მეთოდით, თავისუფლების ხარისხების შესატყვისად.

$$K = \sum_i K_i \quad 3.43$$

აჯამვა ხდება ყველა ელემენტის. ამ პროცედურის ჩასატარებლად ყოველი ელემენტის სიხისტის მატრიცა წარმოდგინდება ისეთი სახით, რომ მისი ზომა იყოს მთლიანი კონსტრუქციის თავისუფლების ხარისხის და მატრიცის ის ელემენტები, რომლებიც არ შეესაბამებიან ელემენტის თავისუფლების ხარისხებს არიან ნულოვანები.

საბოლოოდ მიიღება მთლიანი კონსტრუქციის სიხისტის მატრიცა.

წონასწორობის განტოლება კი ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$[K]\{U\} = \{R\} \quad 3.44$$

სადაც  $\{U\}$  წარმოადგენს კვანძების გადაადგილებების ვექტორს გლობალურ კოორდინატთა სისტემაში.

$\{R\}$  - გარე ძალების ვექტორი. რომლებიც შეიძლება ჩაიწეროს შემდეგი სახით:

$$\{U\}^T = \{u_1, u_2, \dots, u_m\}; \quad \{R\}^T = \{R_1, R_2, \dots, R_m\} \quad 3.45$$

მიღებულ წონასწორობის (3.44) განტოლებას ამონახსნი არ ექნება, რადგანაც სიხისტის მატრიცა სინგულარულია, ანუ არ არსებობს მისი შებრუნებული  $[K]^{-1}$  მატრიცა. ამისათვის კი უნდა გავითვალისწინოთ სასაზღვრო პირობები, ანუ სიხისტის მატრიციდან გამოვრიცხოთ ის სვეტები და სტრიქონები, სადაც შედის კონსტრუქციის ის ელემენტები, რომლებსაც გააჩნიათ ბმები (გადაადგილებები, ან მობრუნებები ნულის ტოლია).

ამის შემდეგ მიიღება შემდეგი სახის წონასწორობის განტოლება:

$$[K]\{U\} = \{R\} \quad 3.46$$

რომლის ამოხსნაც იძლევა კონსტრუქციის ყველა კვანძის გადაადგილებას.

მაგრამ, ამ შემთხვევაში, როგორც მოგახსენეთ დავსვით შებრუნებული ამოცანა. როდესაც ცნობილია გადაადგილება და არაა ნულის ტოლი  $U_i = b$ , ე.ი:

$$KU_i = Kb \quad 3.47$$

მაშინ (3.47)-ის გათვალისწინება (3.46)-ში გვადლევს იმის უფლებას, რომ პირობითად შემოვიტანოთ უსასრულოდ ხისტი ელემენტები  $K \gg K_i$ , რომლებიც განთავსდება იმ კვანძებში, რომლებიც გადაადგილდება ცნობილი სიდიდით (3.41), და ჩავთვალოთ, რომ ძალა, რომელიც იწვევს ხისტი ელემენტის კვანძების გადაადგილებას მთლიანად მიჰყვება სტრუქტურული სისტემის ელემენტები იმავე სიდიდით.

ამ მიმართულებით გაანგარიშება შეიძლება ვაწარმოვოთ ასევე ძალთა მეთოდის დახმარებით.

ამ მიმართულებით კვლევები გრძელდება, ხოლო ქვემოთ მოცემულია სტრუქტურული კონსტრუქციის მოქნილი ელემენტების გაანგარიშების დიფერენცირებული სქემები.

წინასწარ დაძაბვისას ძაბვების დანაკარგები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: I - წინასწარი დაძაბვის დამთავრებამდე და II - წინასწარი დაძაბვის შემდეგ.

$$\sigma = \sigma^I + \sigma^{II} \quad 3.48$$

პირველ ჯგუფში ჩვენს შემთხვევაში შევა შემდეგი დანაკარგები:

- 1) ბაგირში ძაბვების რელაქსაცია, გამოწვეული კრონშტეინების და მიმმართველი ბლოკების დეფორმირებით.
- 2) ტემპერატურათა სხვაობით, დაძაბულ ბაგირსა და დამჭერ მოწყობილობათა შორის.
- 3) ბაგირის ხახუნი მიმმართველ ბლოკებზე (რომლებზედაცაა შემოტარებული ბაგირი).

4) ძაბვების დანაკარგები ბაგირის დამაბვისას და მისი წაგრძელებისას, რომელიც შეიძლება გავიანგარიშოთ შემდეგნაირად  $\Delta l = \frac{Hl}{EA}$ , და ეს სიდიდე გავითვალისწინოთ მისი დამაბვის პროცესში.

$$\sigma^I = \sigma_1 + \sigma_2 + \sigma_3 \quad 3.49$$

მეორე ჯგუფში შევა:

1) ძაბვების რელაქსაციით გამოწვეული დანაკარგი დამაბვის შემდეგ განვითარებული კონსტრუქციების დეფორმაციით.

2) გარემოს ტემპერატურათა სხვაობით დროთა განმავლობაში.

$$\sigma^{II} = \sigma_{\epsilon} + \sigma_{\epsilon} \quad 3.50$$

ძაბვების დანაკარგებს განვსაზღვრავ და მათ გაანგარიშებას დეტალურად წარმოგიდგინთ შემდეგში.

როდესაც დასმულ ამოცანას ამოვხსნით და ვიპოვით  $H$  ძალას, სწორედ ამ ძალის მიერ სტრუქტურული სისტემის ღეროებში აღძრულ ძაბვებზე უნდა შევარჩიოთ ღეროვანი სისტემის (სტრუქტურის) ელემენტების კვეთები.

შეკუმშული ელემენტების მდგრადობაზე გაანგარიშება წარმოებს შემდეგნაირად:

$$\sigma = \frac{N}{\varphi \cdot A} \leq R_y \cdot \gamma_c \quad 3.51$$

$\varphi$  - არის გრძივი ღუნვის კოეფიციენტი, რომელიც დამოკიდებულია ელემენტის (ღეროს) მოქნილობასა და მასალის საანგარიშო წინააღობაზე. შეკუმშული ელემენტებისათვის მოქნილობა  $\lambda$  აიღება 80 + 120-ის ზღვრებში.

$$\lambda = \frac{l_{\text{საანგ}}}{i_{\text{მთ}}} \quad 3.52$$

გაჭიმულ ელემენტებში უნდა შესრულდეს პირობა:

$$\sigma = \frac{N}{A} \leq R_y \cdot \gamma_c \quad 3.53$$

$R_y$  - არის მასალის საანგარიშო წინააღობა.

$\gamma_c$  - მასალის მუშაობის პირობების გამათვალისწინებელი კოეფიციენტი.

ბაგირის შერჩევა წარმოებს ბაგირში გაანგარიშებით მიღებული გამჭიმავი ძალის მიხედვით  $H$ .

განისაზღვრება ბაგირის საჭირო განივი კვეთის ფართობი:

$$A_{\text{საჭ}} = \frac{H}{m_1 \cdot m_2 \cdot R_{\text{საჭ}}} \quad 3.54$$

სადაც  $m_1$ - ბაგირის მუშაობის პირობების გამათვალისწინებელი კოეფიციენტი.

$m_2$  – ბაგირში მავთულების მუშაობის პირობების გამათვალისწინებელი კოეფიციენტი, რომლებიც აიღება ნორმებიდან.

$R_{\text{საჭ}}$  – ბაგირის მასალის საანგარიშო წინალობა, რომელიც მოცემულია სორტამენტში.

$$R = \frac{m_3 \cdot m_4}{\gamma_{\text{დრ}} \cdot \gamma_s \cdot \gamma_{\text{სვ}}} \cdot R_{\text{სორმ}} \leq 0.7 R_{\text{სორმ}} \quad 3.55$$

აქ  $m_3$ - მუშაობის პირობების კოეფიციენტი, ითვალისწინებს კონსტრუქციის ზღვრული მდგომარეობისას ძალვათა გადანაწილების შესაძლებლობას და დაღლილობის გამო ბაგირის რღვევას, რომელიც არ გაანგარიშდება გამძლეობაზე.

$m_4$ - მუშაობის პირობების კოეფიციენტი, აიღება ცხრილიდან და ითვალისწინებს ბაგირის სიმტკიცეზე ძაბვების მაკონცენტრილებლების გავლენას (საანკერო ჩამაგრებები, გადალუნვები და სხვა).

$\gamma_{\text{დრ}}$  – საიმედოობის კოეფიციენტი კონსტრუქციის ელემენტებისათვის, რომლებიც დროებითი წინალობის მიხედვით გაანგარიშდებიან.

$\gamma_s$  - მასალის მიხედვით საიმედოობის კოეფიციენტი, ითვალისწინებს ბაგირში მავთულების განლაგებას, მავთულის განივკვეთში ზომების ცვლილებებზე დაშვებებს და მავთულის სიგრძეს.

$\gamma_{\text{ფ}}$  - საიმედოობის კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ნაგებობის კაპიტალურობასა და მისი პასუხისმგებლობის დონეს.

$$R_{\text{გარე}} = \frac{N_{\text{გ}}}{A_{\text{გ}}} \quad 3.56$$

სადაც  $N_{\text{გ}}$  - არის შერჩეულ ბაგირში აღძრული გამგლეჯი ძალის სიდიდე.

$A_{\text{გ}}$  - შერჩეული ბაგირის განივი კვეთის ფართობი, რომელიც

$$A_{\text{გ}} \geq A_{\text{აღფ}} \quad 3.57$$

საბოლოოდ ბაგირის განივი კვეთის ფართობი განისაზღვრება:

$$A = \frac{H}{R} \geq A_{\text{გ}} \quad 3.58$$

აგრეთვე შეგვიძლია განვსაზღვროთ ის  $s$  მანძილი, რომელიც საჭიროა სტრუქტურის )  $f_{\text{max}}$  სიდიდით შეაფრებისას.

ბრტყელი გადახურვის შემთხვევაში:

$$s = L - \sqrt{L^2 - 4f_{\text{max}}^2} \quad 3.59$$

### 3.6. რეგულარული (სტრუქტურული) სისტემების მოქნილი ელემენტების გაანგარიშება დიფერენცირებული სქემის გამოყენებით


#### 3.6.1. ჩაკეტილი კონტურის მქონე ბაგროვანი საკოჭის გაანგარიშება

ახალი ტიპის გეგმაში ოთხკუთხა ფორმის შემოთავაზებული წინასწარდაძაბული კონსტრუქციის (სივრცითი ბლოკის) მოქნილი ჩაკეტილი კონტურის მქონე მთლიანი ძაფი შესრულებულია მაღალი სიმტკიცის ბაგროვანი საკოჭისაგან, რომელიც გატარებულია კონსტრუქციის კუთხეებში შემკრავ ხისტ კვანძებში განთავსებულ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ცილინდრულ საგორავებზე.

აღნიშნული ელემენტის მუშაობა განაპირობებს შემოთავაზებული კონსტრუქციაში ყველა ელემენტში ძაბვების მოხერხებულ რეგულირებას.

ჩაკეტილი კონტურის მქონე ბაგროვან საკოჭში ძაღვის განსაზღვრა წარმოებს მოქნილი ძაღვის სტატიკური თეორიის გამოყენებით. საანგარიშო სქემა მოყვანილია (ნახ.1) –ზე, სადაც  $AB = BC = CD = AD = L_0 = 2d_{ღიღბ} \cdot K$ .

სადაც  $K$  არის ჩაკეტილი კონტურის მქონე ბაგროვანი საკოჭების რიგითი ნომერი.



ნახ.3.4. ჩაკეტილი კონტურის მქონე ბაგროვანი საკოჭის საანგარიშო სქემა.

ჩაკეტილი კონტურის კუთხეებში მოთავსებულია უძრავი ბლოკები, რომლებზედაც გადადის ბაგირი. ბლოკებს გააჩნით ბრუნვის საშუალება საკუთარი ღერძის მიმართ. ბაგირსა და ბლოკებს შორის ხახუნის ძაღვებს ამჯერად მხედველობაში არ ვღებულობთ.

ბაგირი ყველა მალში იმყოფება განივი დატვირთვის ქვეშ, კერძოდ საკუთარი წონის  $q(x)$  და ჰორიზონტალურად მოქმედი შეყურსული დატვირთვის  $P_i (i=1,2,3,4)$  სახით.

ბაგირის საწყისი გეომეტრიული პარამეტრები შემღდეგია:

$$\omega_i = E_i A_i \quad (i = 1, 2, 3, 4) \quad 3.60$$



$$n_i = \frac{l_i^2}{f_i^2} ; \quad m_i = l_i + \frac{8}{3} \cdot \frac{l_i}{n_i^2} \quad (i=1,2,3,4) \quad 3.61$$

$$m_i = l_i + \frac{8}{3} \cdot \frac{f_i^2}{l_i} \quad (i=1,2,3,4) \quad 3.62$$

თუ მივიღებთ დამოუკიდებელ ცვლად ფუნქციად ძაფის სიხისტეს გაჭიმვაზე  $\omega_i = E_i A_i$  და საძიებელ ფუნქციად ძაფის განმბჯენს, მაშინ შესაძლებელია დაიწეროს მუშაობის განტოლებები.

ვიპოვოთ გარე და შიგა ძალების მუშაობა ძაფის სიხისტის მცირე, მაგრამ სასრულო ცვლილებებით  $\delta\omega_i$ -ით გამოწვეულ ვირტუალურ (შესაძლო) გადაადგილებებზე.

განმბჯენი  $H$  მიიღებს ნაზრდს  $\delta H$ -ს, მაშინ წონასწორობის განტოლება იქნება:

$$M(x) = (H + \delta H)(y - \delta y); \quad y - \delta y = M(x) / (H + \delta H) \quad 3.63$$

შესაძლო გადაადგილების (ლაგრანჟის) პრინციპის საფუძველზე გარე ძალების მუშაობისა და შიგა ძალების მუშაობის ჯამი უდრის ნულს.

$$V_1 + V_2 = 0 \quad (3.64)$$

მცირე გარდაქმნების საფუძველზე, გარე ძალების მუშაობა კონტურის ყველა უბანზე იქნება:

$$V_1 = - \sum_{i=1}^n \int_0^{l_i} \frac{M_i(x) \delta H}{(H + \delta H) H} \cdot q_i(x) dx \quad (i=1,2,3,4) \quad 3.65$$

ან

$$V_1 = - \frac{D \delta H}{(H + \delta H) H} \quad 3.66$$

სადაც

$$D = \sum_{i=1}^n \int_0^{l_i} M_i(x) q_i(x) dx = \sum_{i=1}^n \int_0^{l_i} Q_i^2(x) dx; \quad (n=1,2,3,4) \quad 3.67$$

შიგა ძალების მუშაობა დაჭიმულობის ნაზრდზე კონტურის ყველა უბნისათვის იქნება:

$$V_2 = -\sum_{i=1}^n \frac{(\omega_i \delta H - H \delta \omega_i)}{(\omega_i - \delta \omega_i)} \cdot (H + \delta H) \cdot \frac{l_i m_i^3}{\omega_i} = -(H + \delta H) \sum_{i=1}^n \frac{(\omega_i \delta H - H \delta \omega_i) l_i m_i^3}{(\omega_i - \delta \omega_i) \omega_i}; (i=1, 2, 3, 4); \quad 3.68$$

შემოვიტანოთ აღნიშვნა:

$$D = \sum_{i=1}^n D_i; \quad (i=1, 2, 3, 4) \quad 3.69$$

ანუ

$$\frac{\delta H \sum_{i=1}^n D_i}{(H + \delta H) H} + (H + \delta H) \sum_{i=1}^n \frac{(\omega_i \delta H - H \delta \omega_i) l_i m_i^3}{(\omega_i - \delta \omega_i) \omega_i} = 0; \quad (i=1, 2, 3, 4) \quad 3.70$$

გარდავქმნათ (3.70) განტოლება და გადავიდეთ ზღვარზე, როდესაც  $\delta H \rightarrow 0$  და  $\delta \omega \rightarrow 0$  მივიღებთ:

$$\sum_{i=1}^n \frac{d\omega_i}{dH} - \frac{1}{H} \sum_{i=1}^n \omega_i = \frac{\sum_{i=1}^n D_i}{H^4 \sum_{i=1}^n l_i m_i^3} \sum_{i=1}^n \omega_i^2 \quad 3.71$$

(3.71) დიფერენციალური განტოლებათა სისტემა წარმოადგენს ბერნულის ტიპის განტოლებათა სისტემას. მუდმივების განსაზღვრის შემდეგ საბოლოოდ მივიღებთ დამოკიდებულებას ჩაკეტილ კონტურში მოქნილი ძაფის განმზღვენსა და მოქმედ დატვირთვებს შორის:

$$H^3 + \frac{8}{3} \sum_{i=1}^n \frac{\omega_i}{n_i^2 m_i^3} \cdot H^2 - \sum_{i=1}^n \frac{D_i \omega_i}{2 l_i m_i^3} = 0; \quad (i=1, 2, 3, 4) \quad 3.72$$

ერთმალისანი მოქნილი ძაფის შემთხვევაში ფორმულა (3.72) ემთხვევა ე.წ. ე. სიდოვიჩის ფორმულას ( $i=1$ ) ;

$$H^3 + \frac{8}{3} \frac{\omega}{n^2 m^2} = \frac{D \omega}{2 l m^3}; \quad 3.73$$

აქ  $D$  დატვირთვის პარამეტრია, რომელიც წარმოადგენს განსაზღვრულ ინტეგრალს.

თანაბრად განაწილებული და შეყურსული დატვირთვების ერთდროულად მოქმედების შემთხვევაში  $D_i$  შეიძლება გამოვთვალოთ შემდეგი გზით:

$$D_i = \int_0^{l_i} Q_i^2 dx = \frac{q_i^2 l_i^3}{12} + \frac{P^2 l_i}{4} + \frac{q_i l_i^2 P_i}{4} \quad 3.74$$

მოქმედი დატვირთვებისგან აღძრული რეაქცია საგორავებზე გამოითვლება ფორმულით:

$$r_A = r_B = r_C = r_D = \frac{q_1 l_1}{2} + \frac{P_1}{2} + \frac{q_2 l_2}{2} + \frac{P_2}{2} \quad 3.75$$

საბოლოოდ ბაგირში აღძრული ძალვა მოქმედი დატვირთვებისგან გამოითვლება ფორმულით:

$$T = \sqrt{r^2 + H^2} \quad 3.76$$

ამ პარაგრაფში წარმოდგენილია ახალი ტიპის გეგმაში ოთხკუთხა ფორმის წინასწარდამაბულ კონსტრუქციაზე მოქმედი დატვირთვების ზემოქმედებისას ჩაკეტილი კონტურის მქონე ბაგიროვანი საკოჭის გაანგარიშების საკითხები. ჩაკეტილი კონტურის მქონე ბაგიროვანი საკოჭი წარმოადგენს ახალი ტიპის გეგმაში ოთხკუთხა ფორმის ნაგებობის გადახურვის წინასწარდამაბული სივრცითი სტრუქტურული კონსტრუქციის ერთ-ერთ ელემენტს.

გაანგარიშება ჩატარებულია მოქნილი ძაფის სტატიკური თეორიის გამოყენებით, დიფერენცირებული საანგარიშო სქემის მიხედვით. შედეგია ის, რომ განსაზღვრულია (დიფერენცირებული საანგარიშო სქემის გამოყენებით) ბაგიროვან საკოჭში ძალვის გამოსათვლელი ფორმულა.

3.6.2. წინასწარდაძაბვის ძალის სიდიდის დანაკარგების განსაზღვრა ახალი ტიპის კონსტრუქციის საკოჭის ცილინდრული საგორავის პოჭოჭიკებში

შემოთავაზებული ახალი ტიპის წინასწარდაძაბული კონსტრუქციის (სივრცითი ბლოკის) მოქნილი მთლიანი ძაფი შესრულებულია მაღალი სიმტკიცის ბაგროვანი საკოჭისაგან, რომელიც გატარებულია კონსტრუქციის კუთხეებში შემკრავ ხისტ კვანძებში განთავსებულ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ცილინდრულ საგორავებზე. აღნიშნული პირობების გამო ბაგროვან საკოჭსა (მოქნილი ძაფი) და საგორავების ზედაპირებს შორის ხახუნისაგან წინასწარდაძაბვის ძაბვის დანაკარგების უგულებელყოფა შეიძლება, ხოლო ცილინდრული საგორავების პოჭოჭიკების ხახუნისა და საკოჭის სიხისტის გავლენის გათვალისწინება აუცილებელია.

მთლიანი (უწყვეტი) ბაგროვანი საკოჭის მოსაწყობად საჭირო ცილინდრული საგორავის სქემა (განშლა) მოცემულია ნახ.1-ზე.


ზოგადად ხახუნისაგან გამოწვეული ზემოქმედების განსაზღვრა წარმოებს კულონის კანონის მიხედვით:

$$T_R = \mu_R \cdot N \quad 3.77$$

სადაც  $T_R$  – ხახუნისაგან აღძრული ძალაა;

$\mu_R$  – ხახუნის კოეფიციენტი;

$N$  – ზედაპირზე მკუმშავი მიმჭერი ძალის რეაქციის ნორმალური მდგენელი.



ნახ.3.5. უწყვეტი ბაგროვანი საკოჭის ცილინდრულ საგორავზე შემოტარების (მოწყობის) სქემა, საკოჭის დაუძაბავი (უწყვეტი ხაზით) და დაძაბული (წყვეტილი ხაზით) მდგომარეობის შემთხვევაში.

განსახილველ შემთხვევაში ხახუნისაგან გამოწვეული ზემოქმედება ვლინდება მომენტის სახით, რომლის მიმართულება საპირისპიროა ცილინდრული საგორავის ბრუნვითი მოძრაობისა [68].

$$M_z = A \cdot r \quad 3.78$$

სადაც  $r = P_z \cdot \mu_{ZR}$  – ხახუნის მრუდის რადიუსი;

$A$  – პოჭოჭიკებში აღძრული რეაქციაა;

$\mu_{ZR}$  – ხახუნის კოეფიციენტი პოჭოჭიკებში.

წინასწარდაძაბული საკოჭის სიხისტის ხახუნის გავლენა გამოიხატება ბერკეტის  $m$  მხარით, რომელიც გამოსახავს საკოჭის

მდებარეობიდან გადახრას აბსოლუტურად მოქნილი ბოჭკოებიანი საკოჭის მდგომარეობის მიმართ (ნახ.1). ვინაიდან პოჭოჭიკზე გადატარებულ საკოჭში ძალები ტოლი უნდა იყოს, შეგვიძლია დავწეროთ წონასწორობის პირობა, რომლის მიხედვით ვღებულობთ [5]:

პირველ საგორავზე გადატარებისას

$$T_2 = T_1 \cdot \frac{\rho_k + m + r (\sin \phi - \cos \phi)}{\rho_k - m - r} \quad 3.79$$

მეორე საგორავზე გადატარებისას

$$T_3 = T_2 \cdot \frac{\rho_K + m + r (\sin \phi - \cos \phi)}{\rho_K - m - r} \quad 3.80$$

(3.79) და (3.80) განტოლებებიდან გამოითვლება წინასწარდამაბვის დანაკარგები, შესაბამისად ცალკეულ საგორავზე გადაცემის შემდეგ:

$$\Delta T_2' = T_1 \left( 1 - \frac{\rho_K - m - r}{\rho_K + m + r (\sin \phi - \cos \phi)} \right) \quad 3.81$$

$$\Delta T_3' = T_2 \left( 1 - \frac{\rho_K - m - r}{\rho_K + m + r (\sin \phi - \cos \phi)} \right) \quad 3.82$$

ჯამური დანაკარგები

$$\sum \Delta T_v' = \Delta T_2' + \Delta T_3' \quad 3.83$$

დამატებითი ძალა ხახუნისაგან ცალკეული საგორავების გავლის შემდეგ გამოითვლება ფორმულით:

$$\Delta T_2 = T_2 \left[ \frac{\rho_K + m + r (\sin \phi - \cos \phi)}{\rho_K - m - r} \right] \quad 3.84$$

$$\Delta T_3 = T_3 \left[ \frac{\rho_K + m + r (\sin \phi - \cos \phi)}{\rho_K - m - r} \right] \quad 3.85$$

